„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

მოგზაური

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲙᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

რედაქცია ღიაა ყოველ დღე: დილის 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 16. კვირა, 1 მაისი 1905 წლისა. № 16.

შინაარსი: დღევანდელი მდგომარეობა, ფ. მახარაძისა.—ომის ამბები.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—შინაური მიმოხილვა.—ბაასი, ეშმაკისა.—შილლერი.—წერილები გლეხისადმი, ივ. გომართელისა.—მასწავლებელთა კრების გამო, ნ. კ—ძისა.—ჟურნალ გაზეთებიდან.—რუსეთის ქრონიკა.—უცხოეთის ქრონიკა.— სოფ. ფლევის გლეხების მდგომარეობა.—ბიუროკრატია და მუშათა მოთხოვნანი.—საფრანგეთის ისტორიიდან (გაგრძელება),—ანისა.—წერილი რედაქციის მიმართ.

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ.

რუსეთის ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ხანა უკვე დამთავრდა და დღეს ჩვენ ამ მოძრაობის მეორე ხანაში ვიმყოფებით. ამ ორ ხანას შორის, მიუხედავათ იმისა, რომ იმათ სულ მცირე დრო ყოფს, დიდი განსხვავებაა. პირველ ხანაში დღევანდელ მოძრაობას არ ჰქონდა მიღებული გარკვეული სახე. საზოგადოების სხვა-და-სხვა ელემენტების, ჯგუფების თუ კლასების წარმომადგენელთა განცხადებებში თუ მოთხოვნებში იხატებოდა საერთო უკმაყოფილება არსებული ბიუროკრატიული წესწყობილების წინააღმდეგ. ყველანი თითქმის ერთხმათ გაიძახოდენ, რომ დღევანდელ პირობებში ცხოვრება აღარ შეიძლება. ეს იყო პირველი, თუმც მედგარი, მაგრამ ჯერ კიდევ გამოურკვეველი და განუსაზღვრელი პროტესტი. დიდი ხნიდან დაყრუებულ და დამუნჯებულ საზოგადოებას ეცქირა, თითქმის მოულოდნელათ მიეცა საშუალება საჯაროთ, აშკარათ და დაუფარავათ გამოეთქვა თავის გულის წადილი, თავის ნაღველი და გასაჭირი; ხანგრძლივმა მონობამ, ბიუროკრატიის სრულმა და განუკითხავმა ოპეკამ და მისმა სასტიკმა და ულმობელმა ზომებმა ყოველგვარი ცოცხალი აზრის, თავისუფალი სიტყვის და აზროვნების აღმოსაფხვრელათ მიმართულმა საზოგადოება დააშინა, დააბეჭავა და გაათახსირა. და თუ ასეთ საზოგადოებაშიაც შესაძლებელი შეიქნა მედგარი და ენერგიული პროტესტის გამოცხადება, არსებული წესწყობილების დაგმობა, ეს მხოლოთ იმას მოწმობს, რომ საზოგადოება აუტანელ პირობებში იყო ჩაყენებული, რომ იმას გასაქანი აღარა ჰქონდა: ან უნდა განეგრძო ცხოვრება ძველებურათ, რაც მის დაღუპვას მოასწავებდა, ან შეჩერებულიყო და დაეგმო ყოველივე ის, რამაც იგი ამ უფსკრულამდე მიიყვანა. როგორც ვთქვით, საზოგადოებამ ეს უკანასკნელი გზა აირჩია. ასეთი იყო საზოგადოების გამოფხიზლების პირველი ნაბიჯი, რაც დღევანდელ მოძრაობის პირველ ხანათ უნდა ჩაითვალოს. საზოგადოებამ, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, სხვა-და-სხვა საზოგადოებრივმა ჯგუფებმა და კლასებმა ჯერ კიდევ სრულებით არ იცოდენ, თუ რა გამოვიდოდა, როცა ისინი უკმაყოფილებას აცხადებდენ და დღევანდელ წესყობილების ძირიანათ შეცვლას თხოულობდენ. მაგრამ პირველ ციებ-ცხელებას უნდა ჩქარა გაევლო. საზოგადოების სხვა-და-სხვა ჯგუფებსა და ელემენტებში სხვა გვარი მუშაობა უნდა დაწყებულიყო და დაიწყო კიდეც. და აი აქ გამოირკვა, რომ გარდა ბიუროკრატიული რეჟიმისა, რომელიც ყველას სულს უხუთავს, რომელიც ყველასათვის აუტანელი შექმნილა, დღევანდელ საზოგადოებას კიდევ მეორე ნაირი სატკივარი აწუხებს. ჩვენ ვამბობთ იმ განხეთქილებაზე, იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც არსებობს მშრომელ, მუშა ხალხსა და მუქთახორა ბურჟუა-კაპიტალისტებს შორის. მართალია, ეს განხეთქილება აქამდისაც აშკარა იყო, მაგრამ დღეს ეს კიდევ უფრო ნათელი შეიქნა. უკიდურეს კონსერვატიულ ელემენტებს რომ თავი დავანებოთ, რუსეთის ბურჟუაზიის უმდიდრესმა ნაწილმა (შიპოვისტები) ერთი მხრით და თავად-აზნაურობის უმრავლესობამ მეორე მხრით უკვე შეიმუშავეს თავისი პოლიტიკური პროგრამა, რომლითაც უარყვეს სახელმწიფო წესწყობილებაში ძირითადი ცვლილების მოხდენა და თავის თავი გამოაცხადეს თვითმპყრობელობის მომხრეებათ და დამცველებათ. რაც შეეხება ინტელიგენტთა ჯგუფებს, როგორიც არიან ლიტერატორები, პროფესორები, ექიმები, ინჟინრები და სხვ., ესენი პარტიალია თხოულობენ დემოკრატიული ხასიათის რეფორმების მოხდენას, და უწინარეს ყოვლისა დამფუძნებელი კრების მოწვევას, მაგრამ, სამწუხაროთ, ისინი ხალხთან დაშორებული არიან, თუმც იმავე დროს თავიანთ მოთხოვნებს ხალხის, უფრო ხშირათ მშრომელი ხალხის, სახელით ასაღებენ. თავის-თავათ იგულისხმება, რომ ყველა ესენი უმეტესს ნაწილათ ბურჟუაზიის წარმომადგენლები და მათი იდეოლოგები არიან. ამიტომ დღეს თითქმის ყველა კრებებსა და მიტინგებზე პირველ ადგილას წამოყენებულია პოლიტიკურ თავისუფლების საკითხი და თითქმის სრულებით მიფუჩეჩებულია სოციალური ხასიათის კითხვები. მხოლოთ მუშა ხალხის პროგრამაში შედის 8 საათის სამუშაო დღის შემოღება და სხვა ამავე ხასიათის მოთხოვნები.

სამწუხაროა აქ ის არის, რომ მუშა ხალხს, რომელმაც წარმოშობა მთელი ეს მოძრაობა, რომელმაც შესაძლებელი გახადა, რომ დღეს რუსეთის დაბა-ქალაქებში და თითქმის სოფლებშიაც იმართება კრებები და მიტინგები, სადაც რუსეთის ბურჟუაზიის წარმომადგენლები და იდეოლოგები იმუშავებენ და აცხადებენ თავიანთ პოლიტიკურ მოთხოვნებს, სრულებით ივიწყებენ და მხოლოთ სიტყვის დასაშვენებლათ თუ იხსენიებენ მის სახელს. იმას არავინ კითხულობს, თუ ვინ უდგას სათავეში დღევანდელ მოძრაობას, თუ ვინ ასულდგმულებს და მატებს მას ცხოველ-მყოფელ ძალას. ერთთა-ერთი გასამართლებელი საბუთი ბურჟუაზიის იდეოლოგებს ისა აქვთ, რომ ხალხს არ ეშის თავის სარგებლობა, პროლეტარიატმა არ იცის, თუ რა არგებს მას. და აი ისინი ხალხის სახელით ადგენენ სხვა-და სხვა გეგმებს და სამოქმედო პროგრამებს. იყო დრო, როცა ხალხის სახელით მოქმედებდენ არა თუ მარტო ბურჟუა-ლიბერალები, არამედ ქვეყნის დამღუპველ მთავრობათა წარმომადგენელნიც-კი. მაგრამ ეს დრო სამუდამოთ წავიდა. ხალხის (ჩვენ ვამბობთ მუშა ხალხზე) დღევანდელი გამოფხიზლება არ

არის შემთხვევითი; იგი აღმოცენებული და განვითარებულია დღევანდელი საზოგადოებრივ ცხოვრების ნივთიერ პირობებში. თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მუშა ხალხი იბრძოდა წინეთაც, როგორც მონობის, ისე ბატონ-ყმობის დროსაც. მაგრამ ეს ბრძოლა არ იყო დამყარებული თავის-თავის მდგომარეობის შეგნებაზე; იმას არ ჰქონდა მიზნათ საზოგადოების სხვა-და-სხვა წოდებებათ და კლასებათ დაყოფის მოსპობა: ეს ასე იყო იმიტომ, რომ ამის განსახორციელებლათ არ არსებობდენ ნივთიერი პირობები. მხოლოთ მას შემდეგ რაც თანამედროვე კაპიტალისტურმა წარმოებამ თანდა-თან გამოაცალა ხალხის უმრავლესობას წარმოების იარაღები, რომლებშიაც მიწას უპირველესი ალაგი უჭირავს, და წინანდელ დაქსაქსულ და გაფანტულ მუშებს თავი მოუყარა დიდ სამრეწველო და საალებ-მიცემო ცენტრებში, მხოლოთ მაშინ ჩაიყარა საძირკველი მთელი მუშა ხალხის შეერთებისა და პოლიტიკური და ეკონომიური მონობისაგან განთავისუფლებისა და საერთოთ საზოგადოების კლასებათ დაყოფის მოსპობისა. ხალხის კეთილის-მყოფელნი ყოველთვის იყვენ, რომელთაც მართლაც სურდათ ხალხის ხსნა ტანჯვისა და გაჭირვებისაგან, რისთვისაც ისინი თხოულობდენ სხვა-და-სხვა რეფორმების მოხდენას, მაგრამ ისინი არსებული წესწყობილების ფარგლიდან არ გამოდიოდენ. ისინი დარწმუნებული იყვენენ, რომ დღევანდელი ბურჟუაზიული წესწყობილების შეუცვლელათაც შესაძლებელია მუშა ხალხს მიენიჭოს კეთილდღეობა და დაფარულ იქნას ყოველგვარი დაჩაგვრისა და შევიწროებისაგანა, მაგრამ ასეთი ფიქრი მარტო ოცნება გამოდგა. მუშა ხალხის მდგომარეობა, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა და უარესდებოდა. მას ვერ მშველოდენ ვერც რეფორმები და ვერც მისი კეთილის-მყოფელები. მაგრამ ასე ყოფნა, სამუდამოთ ამ მდგომარეობაში დარჩენა, შეუძლებელი იყო. თუ მართლა ჭეშმარიტება და სიმართლე მარტო ოცნება არ არის, თუ ოდესმე ეს დიდებული მცნებანი უნდა განხორციელებულიყო დედამიწაზე, იმ შემთხვევაში საზოგადოების უმრავლესობა, მუშა ხალხი, უნდა განთავისუფლებულიყო მუდმივი ტანჯვისა და შევიწროებისაგან. მაგრამ როგორ მოხდებოდა ეს? ნუ თუ მუშა ხალხს დაიხსნიდენ შევიწროებისაგან ისინი, ვინც მისი ოფლით სუქდებიან? ან შეიძლება მუშა ხალხს შველა ისე თავისთავათ მოევლინებოდა? რასაკვირველია, რომ არც ერთი მოხდებოდა და არც მეორე. მაშ რა გზით, რა საშუალებით უნდა მომხდარიყო მუშა ხალხის განთავისუფლება? ამის საშვალება თვით მუშა ხალხს ეჭირა ხელში. ეს იყო თავისი კლასსიური მდგომარეობის შეგნება და ამ მიზნით მთელი მშრომელ ხალხის გაერთიანება მთელი დღევანდელი ბურჟუაზიული წესწყობილების დასამხობათ. ამაზე დამყარდა მარქსის სოციალისტური მოძღვრება, რომელიც თავის დროზის ქვეშ იკრებს მთელი ქვეყნის მუშა ხალხს, აგროვებს ძალას, რომ ბოლო მოუღოს დღევანდელ წესწყობილებას, რომელიც დამყარებულია კერძო საკუთრებაზე და დაჭირავებულ შრომაზე.

ამ ნაირათ მუშა ხალხის მსხნელი მისი განმათავისუფლებელი უნდა შეიქნეს თვით მუშათა კლასი. ეს როლი არ შეიძლება მან სხვას დააკისროს. მუშა ხალხის მოძრაობა მხოლოთ ამიტომ არის ძლიერი, ამიტომ არის იგი თავზარ-დამცემი ყველა იმათთვის, ვინც მისი ოფლით ცხოვრობს, ვინც მისი სისხლით იკვებება.

მაგრამ აშკარაა, რომ რუსეთის მშრომელი ხალხი ერთი დაკვრით დღეს ვერ განთავისუფლდება პოლიტიკურ და სოციალურ მონობისაგან. ჯერ იგი უნდა განთავისუფლდეს პოლიტიკურათ. მაგრამ პოლიტიკური თავისუფლება მარტო მისთვის როდია დღეს საჭირო, მარტო მის მისწრაფებას როდი შეადგენს. პოლიტიკური თავისუფლება საჭიროა აგრეთვე ბურჟუაზიისათვისაც. მაგრამ მაშინ როცა პროლეტარიატი სისხლსა ღვრის ამის მოსაპოვებლათ, ბურჟუაზია მხოლოთ მიტინგებს და კრებებს მართავს, და კამათობისთვის თუ როგორ ისარგებლონ მომავალ დამფუძნებელ კრებაში საარჩევნო უფლებით, ანუ როგორ უნდა იქნენ არჩეულ იქ ხალხის წარმომადგენლები. ერთ და იმავე დროს სასაკლაოც და სამწუხაროც არის ასეთი გარემოება: მუშა ხალხმა გამოიწვია, შექმნა დღევანდელი განმათავისუფლებული მოძრაობა, და იმავე დროს ბურჟუაზიის წარმომადგენელები კრებებს მართავენ და თათბირობენ, მიეცეთ თუ არა ხალხს უფლება მონაწილეობის მიღებისა დამფუძნებელ კრებაში. აი როგორ უყურებენ ისინი ხალხს.

ფ. მახარაძე.

ომის ამბები.

დიდი ხანია ჩვენს გაზეთში ომის შესახებ არაფერი დაწერილა და ეს იმიტომ, რომ დიდი ხანია ომის ველზე ყურადღების ღირსი არაფერი მომხდარა. ესეც არ იყოს შორეულ აღმოსავლეთის ომმა თითქმის დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა: ჯერ ისე გაფაციცებით აღარავინ კითხულობს კუროპატკინის და ტოგოს ამბებს, როგორც ეს ამ ნახევარ წლის წინათ იყო; მიზეზი ყველასათვის ცხადია: რუსეთის შანაური ცხოვრება იმდენათ გამოიცვალა, იმდენათ გადასხვაფერდა, რომ უყურებ და ვერა სცნობ, ნუ თუ ეს ის რუსეთია, რომელიც ამ ერთი წლის წინათ ასე ბნელი და უსიცოცხლო იყო, ნუ თუ ეს სოფლები, ეს ამოძრავებული ხალხი ის ხალხია, რომელიც ამ ერთი წლის წინათ მთავრობის ბურჯს წარმოადგენდა? დიახ. ეს იგივ რუსეთია, მაგრამ გაღვიძებული და აზრით განახლებული? ეს იგივ რუსეთია, რუსეთი ბრძოლის ფეხზე დამდგარი, მაგრამ არა იაპონიის დასამარცხებლათ, არამედ თავისი თავის განსათავისუფლებლათ? ეს იგივ ხალხია, მაგრამ არა ურცხვი მთავრობის საშველათ ამდგარი, არამედ მის დასანგრევათ და საკუთარი უფლების ასადგენათ! დღეს ბრძოლა, თითონ რუსეთში; დღეს იბრძვის რუსის ხალხი და რუსის მთავრობა, დღეს ერთმანეთს ებრძვიან რუსეთის ბნელი და ნათელი ძალები.

და აი ამ დიდებულ სურათის წინაშე უნებლიეთ გარგავს ელფერს შორეულ აღმოსავლეთის საშინელი სახე. მართალია რუსეთის შინაურ საქმეთა მინდინარეობასთან მჭიდრო კავშირი აქვს რუსთა მხედრობის გამარჯვება—დამარცხებას, მაგრამ რუსეთის ხალხის საქმე აქ რუსეთისავე ქალაქის ქუჩებში გადასწყდება და არა მანჯურიის მინდვრებში ან იაპონიის ზღვაში.

(ს. ო-).

სხვა და სხვა ამბები.

22 აპრილს ქალაქის გამგეობის დარბაზში უსახელო საზოგადოების მეთვალყურე კომისიას კრება ჰქონდა. კრებამ მოისმინა ის საჩივარი, რომ, ეს მეათე დღეა, უსახელო საზოგადოება არაფერს ღონობს მოძრაობის დასაწყნარებათო. კრებამ, კანონთა მე-1358 მუხლის ძალით, უსახელო საზოგადოება დამნაშავეთა სცნო: საზოგადოება მხოლოდ მაშინ იქნებოდა მართალი, თუ მას მოსამსახურეებთან კანონიერი ხელშეკრულობა ექნებოდა. კომისიამ დაადგინა: რადგანაც,

ქალაქთან ხელშეკრულობის ძალით, თითო ახალ ლიანდაგზე მოძრაობის შეჩერებისათვის უსახელო საზოგადოებამ დღეში 200 მანათი ჯარიმა უნდა იხადოს და ასეთ ახალ ლიანდაგათ კი სულ მთელი გზა უნდა ჩაითვალოს, იმ მოსაზრებით, რომ საზოგადოთ ელექტრონის მოძრაობა ახალი საქმეა, გადახდეს საზოგადოებას დღეში 1800 მანეთი ჯარიმა, იმ დღიდან და წყებული, ვიდრე ელექტრონის ტრამვაი მოძრაობას არ დაიწყებს. დღემდის ეს ჯარიმა ოცი ათას მანათს შეადგენს.

—

ს. ცხინვალიდან გვატყობინებენ რომ დღიური მუშები, რომლებიც ახლო-მახლო სოფლებიდან ჩამოდიან და ვაჭართა და მემამულეთა ვენახებში მუშაობენ, გაიფიცნენ და დღიურ ფასის მომატებას თხოულობენო.

—

23 აპრილს, კიდევ ჩამოვიდა 50 კაცი თურქესტანის სარკინისგზო სამხედრო ბატალიონისა. ეს ბრიგადაც დეპოებში გაანაწილეს.

—

ამ დღეებში, დაბა ბორჯომში, გამოურკვეველ მიზეზებისა გამო, ცეცხლი გასჩენია ჩის იმპერატორებით უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის თივის ფარდულს და სულ გადაბუგულა.

—

როგორც დუშეთის მაზრიდან იტყობინებიან, სოფლებს მუხრანს, ძალისს, მჭადიჯვარსა და წილკანში ეგზეკუცია აუხსნიათ, ჯარი თავის ხარჯით იკვებება.

—

ბორჩალოს მაზრის სამრევლო სკოლებში, გლეხთა მოძრაობას გამო, შეწყვეტილია სწავლა.

—

ქუთაისში მოწვეული მასწავლებელთა კრება, როგორც გაზეთში იუწყებიან, აღარ შესდგა.

—

ბათუმიდან იუწყებიან: გენერალ-გუბერნატორის მიერ გამოქვეყნებულ, დადგენილებათა თანახმათ მკვლელობის, დაჭრის, და ამ დანაშაულთა განზრახვის შესახებ საქმეები, თუ ისინი ჩადენილია თანამდებობის აღმასრულებელთა წინააღმდეგ და ეგრეთვე დაწვის, გაძარცვის და მთავრობისთვის წინააღმდეგობის გაწევის საქმეები გადაეცემა სამხედრო სასამართლოს, რომელიც სიკვდილით დასჯის დანიშნავენ.

ეკლესიებში და საზოგადო კრებებში წესრიგის დამრღვევთ კი გუბერნატორი დასჯის.

—

28 აპრილს ქ. ნიჟნი-ნოვგოროდში შვა ღამისას ქუჩაში მოუკლავთ ჟანდარმთა პოლკოვნიკი გრეშნერი, დამცველ განყოფილების უფროსი. პოლკოვნიკი თეატრიდან შინ მოდიოდა. მკვლელი დაიჭირეს. დაჭრილია მძიმეთ ერთი ღამის დარაჯი.

—

29 აპრილს რუსეთის სააგენტომ გვაუწყა, რომ ჟიტომირში (ვოლინის გუბერნია) დიდი ხანია იყო გავრცელებული ხმები აღდგომას ებრაელებს აკლებას უპირობენო, მაგრამ სარწმუნოთ არ მიიჩნდათ. აკლების პირველი საბაბი შეიქნა ებრაელების და გლეხების შეტაკება სოფელ ჰსიბს. ვნების კვირაში ებრაელები გასულან სასეირნოთ ქალაქ გარეთ და გაუვლით გლეხების ნათესი მინდვრები. გლეხებს ტუკებით გამოურეკიათ ებრაელები და მათგან რამდენიმე დაუჭრიათ კიდეც აკლება დაიწყო შაბათს პავლოგოვის ღობანში, მაგრამ მოსწვლე ახალგაზდობის, პოლიციის და ჯარის ჩარევამ შეაჩერა და მხოლოთ რამდენიმე სახლი აიკლეს. დაჭრეს რამდენიმე ქრისტიანი და ებრაელი, ზოგი რევოლვერის ტყვიით. ზოგიც ქვებით და ტუკებით. კვირას არეულობა ძლიერ გავრცელდა; როგორც ქალაქის განაპირა ადგილებში ისე შუა გულ ქალაქშიაც ხულიგანები მოქმედებდენ ტუკებით და ქვებით. ებრაელები რევოლვერს ესროდენ. საბედნიეროთ ქალაქში არ შემოუშვეს ახლობელ სოფლების გლეხები, რომელთა მთელი ბრბოები მოეშურებოდა ამკლებთა დასახმარებლათ. გუშინ ქალაქის მართვის უფლება გადაეცა გარნიზონის უფროსს, რომელმაც გამოუცხადა ხალხს, რომ შეუბრალებლათ იხმარს იარაღს არეულობის ჩასაქრობათ. ამ ზომამ სასურველი გავლენა იქონია, ქალაქი მშვიდდება. მოვიდა დრაგუნთა ორი ესკადრონი. დღეს დაასაფლავეს არეულობის მსხვერპლათ გამხდარნი; პროცესიას ჯარი მოყვებოდა. მეოთხე დღეა ქალაქში სიცოცხლე შეწყვეტილია, მაღაზიები დახურულია. ორი დღის განმავლობაში უსაჭიროესი საგნების და სურსათის შოვნაც არ შეიძლებოდა. საზოგადოთ ეს არეულობა გამოურკვეველი და საოცარია. გამოძიება სწარმოებს.

—

10 აპრილს ყვარელში მოკლეს ხალხის მიერ ამორჩეული დეპუტატი ბურკაძე.

—

თურქესტანის სამხედრო ბრიგადა მემანქანეთა და მათ თანაშემწეთა, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა თბილისში, ასე დაანაწილეს: ბათუმში გაიგზავნა 2 კაცი, სამტრედიაში—4, ხაშურში—4, თფილისში—17, განჯაში—7, ბაქოში—10 და გუმბრში—6.

—

ს. მუხრანში (ტფილ. მაზრა) ამას წინად 50 ყაზახი გაიგზავნა და იქვე დაბანაკდა.

—

ქალაქ კავკასიის—სტავროპოლში შეიპყრეს სპარსეთის ქვეშევრდომი სამი სომეხი, რომელთაც 2150 პატრონა აღმოაჩნდა.

კორრესპონდენცია

შიგნით კახეთი. ამ ცოტა ხანში თბილისიდან ჩამოსულ იყო ს. წინანდლის მემამულე თავადი ზ. ჭავჭავაძე, რომელიც, როგორც ამბობდენ, მთავრობას გამოეგზავნა აქაურ გლეხთა მოძრაობის მიზეზთა გამოსაძიებლათ. 9 აპრილს თავადმა დაიბარა წინანდლის მამასახლისი; მამასახლისმა შემდეგი პასუხი შემოუთვალა: მე მამასახლისი ალარა ვარ, ჯაჭვი ამხსნეს და ახა რაღასთვის გამხდითო. ამის შემდეგ დაბარებულ იქნენ „ჯანეის თავნი“; რომელთა სია წინადვე წარედგინათ თ. ჭავ—ს., მაგრამ მათაც უარი განუცხადეს ცხლეე მოლაპარაკებაზედ,—თუ გნებავთ გამობძანდი ხალხთან და რაც საუთქმელიც აქვთ ერთად მოგისმენთო. 10 აპრილს, დილის 11 საათზედ შეუარა თავადმა ს. წინანდლის ოთხა სოფლის გლეხობა: ქვემო-ზედაძნისა, ბუშათისა, ვანქისა და წინანდლის, და შემდეგი სიტყვებით მიმართა მათ: მე ყოველ წლივ დიდ-მარხვაში დავარები ხოლმე ხაზაარებლად აქ, ჩემ სოფელში; აი წელსაც გამოვემგზავრე ჩვეულებისამებრ, მარა ჯობდა, რომ სულ არ მოვსულიყავ, რადგანაც არა სასურველი ამბები დამხვდა. მე არ მინდა ამის თქმა, რომ მაკვირებს თქვენი მოძრაობა,—ვიცი არა ხართ კარგ მდგომარეობაში, თხოულობთ ცხოვრების გაუმჯობესებას, მაგრამ ამის მისაღწევად ძალიან ცუდ ზომებს ხმარობთ, როგორც, მაგალ: ახლების გადაჭრა, ტყეების კაფვა, დაწვა წართმევა და სხვა. მოდა-

ხართ და მარტო შევთ უველაფერს მე გრჩება ცარიელ, გულიაბდება მერე მე წამოვალ და წავართმევთ რა იქნება, რა გაკეთდება ამით.., ერთმა გლეხთაგანმა შემდეგი უპასუხა: ჩვენ ძალიან გაგვიჭირდ ცხოვრება, დღითი-დღე უარესათ ვდატყდებით, ათასი ჯურის გა დასახადებით დამის სული ამოგვძრეს; სულ ხარჯი, ხარჯი, შემოსავალი-კი არსაიდან არც ერთი გროში. და აი შეგვყვრთა, ხელი ხელს მიგვცემია ატყრელმა გაჭირვებამ; ავახილეთ ჩვენც ძალიან თვალი, ვიგრძენით რა გამოუთქმელ ტანჯვა-შეიარაღებაში ვიმეო ვებით ჩვენც გვსურს თავისუფლათ ამოსუნთქვა, წელში გასწორება, სიბნელ-უსამართლობისაგან თავის დახწევა! (ამისათვის სიტყვლეს სიკვდილი სჯობია, იგრიალა ერთხმათ ხალხმა.) აი ჩვენი მოთხოვნილებანი, ამაში სწერია,—ამ სიტყვებით ერთმა მოხუცმა წინანდელ მა გლეხმა ამოადო ჯიბიდან ქაღალდი და გადასცა იქვე მდგომ მღვდ. იმნაიშვილს და სთხოვა წაკითხვა. მოძღვარმა თავისებურათ თავი გადაქ-გადმოაქნია, შეუოუმარდა. თვალი არ მიჰკრისო და გადასცა თელ. მაზრის უფროსის მდივანს, რომელმაც წაიკითხა ქაღალდის შინაარსი. მასში იყო აღნიშნული მუხლებით მოთხოვნილებანი, რაც ჩვენ უკვე გქონდა მოხსენებული ბოლო წერილში. თავადმა მოისმინა-რა წაკითხული-შუბლი შეკუმუხნა და მრისხანება წარმოსთქვა: აი რა დაუწერიათ თქვენთვის; მე დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთ თქვენგანს არ მოსწონია ეგ აზრები თავში არც წინათ და არც ეხლა, იქნება არც-კი გესმით, არც იცით თქვენ თითონ რა გინდათ, რას თხოულობთ; რას და ვის ემდური. მოვიდენ, ჩაერიენენ თქვენში გიდაც მაგნე კაცები, გააჯავრებელეს თქვენ-შორის ბოროტი აზრები, გადაგრიენ და ვინ იცის, რას არ გაკეთებინებენ. ეს თქვენი დამრიგებელნი—თქვენი მტრები არიან და არა მოკეთენი, ისინი სახრჩობელის დირსნი არიან ამისთვის უნდა გასცეთ, რო გორც ბოროტების ჩამდენნი, დაგეპასუხებოთ, მოგვცეთ ხელში და ჩვენ გაუსწორდებით მათ თქვენი დადუპვის გზაზე დაუენებისთვის. ამის შემდეგ გამოელაპარაკა ოლაყვის თავად-აზნ. წინამძღვარი თ. ჩოლოყაშვილი: განა არ ვიცით, რომ გაჭირვება გადგიათ. მაგრამ რა ბრალი აქვთ მეზობლებს ამაში; დადიხართ სოფლიდან სოფელში წითელი ბაირაღით და უგრიან-კიკინით: ,,გაუმარჯოს ძმობა-ერთობასო''. განა ის არის ძმობა-ერთობა, რომ წაართვათ კაცს საკუთრება, ისიც ჩხუბით და ვაი-ვაგლახით. ავი წინადაც გითხარით, რომ შეძლებისა და გვარათ დაკმაყოფილებული იქნება თქვენი მოთხოვნილება, მხოლოთ ჯერ-ჯერობით დაიცადეთ, იქორაით მოთმინება მოგვცეთ დრო, ჩვენც გვაქს სხვა საქმე გასაკეთებელი უფრო უსაჭიროესი და შემდეგ... შემდეგ თქვენც გეშველებათ. (ადბათ ნაცნობ ნაღურ ავტონომიაზე ელაპარაკებოდა თავადი შიმშილით კუჭ-დამწვარ ხალხს).

წამოაგრძელა უცებ კისერი წინანდლის მღვდელმა და მიმართა გლეხებს. ხალხო, მე თუმცა მაწუნებენეთ, გამაშვებთ (მისი გაშვება წინათ მოხდა), ავი თვალით მიყურებდით, მაგრამ მე მაინც ცუდს არ ვიტყვი და არ მოვინდომებ თქვენთვის. აგერ მეორე წე დაწადია თქვენგან არაფერი ამიღია რადგან ვხედავ თქვენ გაწირვებულ მდგომარეობას... აქ უცებ სიტყვა გაუწყვიტა მწარ-მეტ უველ ხუცეს გლეხმა: იმ დღეს არ იყო, ღმერთო, შენმა დაიცვა ნმა ძალით წამართვა უკანასკნელი დიტრა ბურა, რომლის იმედზე. დაც მყავდა ტოლ-შვილი! ანა რა დიდი ხანია, რაც შვილი მომიკვდა, არ გახსოვთ გინა რა ვაი-ვაგლახით შემაკრთვებინე სამი მანეთი მიცვალებულის წინ გასაძღოლი? მოძღვარი ძალიან გაბრაზდა ამ სიტყვებზე; თქვ. მაზრის უფროსმა შემდეგით დაიოვა ურიდება: უოუოთ აღდგენილი უნდა იყოს სოფლის სასამართლო. (ხალხ, ერთხმათ: არ გვინდა მექრთამე მამასახლისი, არა)—ტოტა-ხმით მაინც, ეიდრე სხვას ამოირჩევდეს. გარდა ამისა ზარალი, რომელიც მიაყენეთ მემამულებს (ტყეების გაკაფვით, თუ დაწვით) უნდა გადახდით უეჭველათ, თუ ნებით არა ძალით; უმთავრესი კიდე აი რა: უნდა მოგვცეთ ხელში ის პირები, რომელნიც ვრცელებენ თქვენში ცრუ აზრებს, გვაბრკვებენ, გაეენებენ დადუპვის გზაზე. ისინი არიან მოდალატენი მთავრობისა და სამხედრო, მაშასადამე—დირსნი სასჯელისა. ეს მოდალატეობა და „მიზეზით გამოძიება» გათავდა მით, რომ ჩაეენეს სოფლებში უაზრები, რომელნიც თავიანთებურათ დათარეშობენ სწუალი გლეხების ოჯახებში. იმდენს ჩემი ეურით გავიგონე რომ შესწიდენ სხვა-და სხვა სოფლის დედაკაცები ერთმანეთს: ეს რა ცუცხლი ჩამოგვიგდეს, გაგონილა, ქა? სიდატა ეს ვინ ვიოდით, ვითხოულობდით ტოტა სული მოგვებრუნებინეთ, მამშილით დამის სული ამოგვდესო და ახლა თავისი რესები მოგვხვეა თავს შესანახად! როგორც მგლები, ისე დარბიან, სადაც რას მოახელებენ იტაცებენ; კარგი შინაურებივით შემოდიან სახლში და გააქვთ რაც მოეენებათ. ქათმებს ხომ მუსრი გაავლეს,—ერთი-ორი დედალი მეკვანდა თქვა ერთმა გულ-დამწვარმა ბებერმა; და ისე გაჰკრეს, რომ თვალიც ვეღარ შეკვსწარ. მართალია გლეხი სახლი სულ შედგ დაჩაგრულნი, ბედ-შავები ვიყვით იმ თვითეულ, მაგრამ ეხლა ბოდიშს და ბოდიშს უფრო წიხლი დაგვაჭერეს, შებრალება ალარ არი, როგორც უენო ცხოველებს, ისე გვექცევიან; დაიჭვეს ჩვენი დაქცევა და დამდუპველი,—დაათავა ჩვიდი თვალცრემლიანმა მოხუცმა.

მეოცე საუკუნე.

—

გორი. გორის არსებობა უხსოვარი დროიდან იწყება, მაგრამ დირს სახსოვარი კი ამ საცოდავ ქალაქს დღემდისაც კი ვერა შეუქმნია: არც სამკითხველო, არც თეატრი, არც ბანკი, არც რეგიანი ბადი, არც რეგიანი გართობა, არც რეგიანი და სუფთა ქუჩები და არც... მაგრამ რამდენი „არც'' უნდა მოვთვალო! „თავებით'' ამ ბებერ ქალაქს ვინ გინდათ, რომ არ ეოდოდეს: დერეფანი, სოფლური, ადგილები და ბოდო დროს შედგომები... არც ერთის „თავობამ'' გორს ვერ გამოაბა თავი, ვერც ერთმა „სარდაფმა'' ვერ გამოიჩინა რეგიანი სარდაფობა, ვერ წასწია წინ ქალაქი.

„წარჩინებული'' და ,,ბრწყინვალე'' წოდება, მღვდელი და ბერი, სოფლური და ბიუროკრატი, უველა ეს ,,მარადინი'' ტახტისანი უკან და უკან მიიწევენ დღეს და იმედია თუ ასე სისწრაფით გაგრძელდა ეს უკან სვლა, ეს გაჟბატონება ჩქარა მიალწევენ უფსკრულის კიდეებს და მაშინ კი მშვიდობით წარსულო დიდებავ!

გორზე მოგახსენებდით. ველაგოი თავი კი ერთი თვეა რაც აირჩია ქალაქმა და მისგან ბევრ რასმე მოელიან, მაგრამ მე კი ვფიქრობ, რომ იმისაც ჩვეულებრივი გორული ძილი ჩაათრევს, რადგანაც ძნელია ერთმა კაცმა, რაგინდ ბატიოსანი და ნიჭიერიც იყოს იგი, შექმნას იქ რამე, სადაც ირგვლივ ეგრეთ წოდებულ გორის სოზოგადოების ოფიციალურ ნაწილში გულის სიკლვე მოქნარებისა და ბატიას ამბენეს. ასეთია ,,ძველი'' გორი. სამგიერთო და სასახლეთ ,,ახალი'' გორი კი დიდ იმედს იძლევა და სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის ემზადება ,,ძველი'' გორის დასამხობათ, და ახალი თავის მოდგმურობაც იმიზეა დამოკიდებული, თუ რომელი ,,გორისელი'' იქნება მისი სამბატია-ანტიბატია მიჰრთული...

ზემოთ მე ჩამოგთვალე თუ რა არ გააჩნია გორს. სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღვნიშნო, თუ რა გააჩნია მას. ერთით ერთი საზოგადო სიქმე, რომლის განხორციელება შესძლო ქალაქმა ამ სამი წლის წინათ, ეს არის გორის საქალაქო ქსენონი, რომელიც ათი წლის დავიდრობის შემდეგ ძლივს დაარსდა 1901 წლის მიწურულში. ეს, ეგებ გაგვა სიტყვა ქსენონი, რომელიც შესდგებოდა და შესდგება დღეს 4 ოთახისაგან, ჯერ ქალაქის ერთ განაპირას მოათავსეს, ერთი წლის შემდეგ მეორე აგდილას გადაბძანეს და შარშან შემოდგომაზე კიდევ სხვაგან უკრეს თავი. ეთვალეე საზოგადო დაწესებულება, რაც ხანი გადის უფრო და უფრო უნდა თვითოდგებოდეს და უმჯობესდებოდეს, ამას მოითხოვს საზოგადო მოთხოვნილების განვითარება, ზრდა და მატება. თუ ერთის მხრით ქსენონის სიწიროება თან და თან გაიზარდა, მეორე მხრით ქალაქის

მუშები ვერ ურიგდებიან ამ აზრს, რომ სამწირო ქსენონის თან და თანური გაუმჯობესობა, როგორც ჰიგიენურის მხრით, აგრეთვე სხვა და სხვა სამწირო ნივთთა და იარაღთა შეძენით. მიუხედავათ ამისა ქალაქის მუშები ერთხელ გადაწყვეტილ ბიუჯეტს არც უკლებენ და არც უმატებენ: ქალის წელიწადში 600 მ., შენობის ქირა 240 მ., წამლების და სხვა სამწირო მასალები 100—120 მ., ფერშალს 360 მ., სტოროჟს 150 მ. ასე რომ ქალაქი ხარჯავს ამ დიდათ სამწირო საქმეზე არა უმეტეს 1300—1500 მანეთისა. აქედან 720 მ. (60 მ. თვეში) შემოსდის ქალაქს ავათმყოფთა გაშინჯვის ფასით. (თითო გაშინჯვაში 30 კ.) ასე რომ ნახევარს ამისას, რასაც ხარჯავს ქალაქი ქსენონზე, უკანვე იბრუნებს. თუ უოველ წლიურ ბიუჯეტს ქალაქი ვერ გაადიდებდა, სამწირო იოლ გასაშინჯავათ შემოსული ფული მაინც ქსენონის გასაუმჯობესებლათ გადადგა, მაგრამ არა, ამას არ შეგებიან, ალბათ იმიტომ რომ ქსენონს მუშტრის თვალით უტქერიან და რაღა გასაკვირია, როცა ის სატდვე მდგომარეობაშია დღეს. ამ დღეებში დავათვალიერე ეს ქსენონი; ავათმყოფთათვის (ორივე სქესისა) დანიშნულია ორი ოთახი, ერთ ამათგანში ორი დაწრილი ადამიანი წევს (უოფილან ბეური, მაგრამ გაწერილან) ერთი მათგანი, მარკოზოვი, მსხვერპლია 14 მარტს გორში მომხდარ ბოდიტიურ ძალმომრეობისა, როცა უთარდო მანიფესტანტებს ბოქაული ავდიშვილის ბრძანებით სალდათებმა ოთუები დაუშინეს. ამ კაბუკს ორი ტეუია ერთ ფეხში აქვს მოხვედრილი და ერთიც მეორეში, ვერც ერთი ჯერ ვერ ამოუღიათ. მეორე, მამულაშვილი, მსხვერპლია ამავე ბოდიტიური ოვალსაზრისობისა, რომელიც 3 მარტს მოხდა სოფელ ქვენაოფლაში (ქართლი), ამას წელში მოხვედრია ტეუია და ამისთვისაც ვერ ამოუღიათ. ავადმეოფთა დოგინი ერთობ ჭუჭუიანია, სანეელების შესახებ ნუღა მკითხავთ... ავადმეოფები კდიან თივით გატენილ ჭუჭუიან ტომრებზე და რაღაც ბალიშების მსგავსი უდევთ თავქვეშ. იხდიან თვეში 15 მანეთს. ქალაქის მუშები სულის კანებიც უოფილან და როგორც ავადმეოფებმა გადმომცეს, დიდმარხვაში დობიოთი კვებავდენ თურმე ავადმეოფებს. ექიმის თანამდებობა მაზრის ექიმისთვინ მოუდგიათ ზურგზედ მიუხედავთ ამისა, რომ ამ ვაკანტურს ისედაც ბეური სამეები აქვს, გე მეორე თანამდებობაც უკისრია. მაგრამ, რატომაც არ უნდა კისრულა, როცა გადდებულების კი არაა თხოვენ და 600 მ. მუქთი ფული ჯიბეში ჩაუწყრიალდებათ. ფერშალი მარწმუნებდა, რომ ექიმი ოველ დღე მოდის და ნახულობს ავადმეოფებსო, ავადმეოფები კი ამბობდენ ორ კვირაში ერთხელ შემოიხედავს ექიმი ხოლმეო და როდესაც ერთმა ჩვენგანმა რაღაცაზე შესჩივლა ექიმს, უკანასკნელმა თურმე ასე უპასუხა: **„тебѣ лучше сидѣть въ Метехи, чѣмъ здѣсь“**-ო. მაშ ვინ დებულობს ოველდღე ავადმეოფებსო იკითხავთ. ვინა და ფერშალი, რომელიც ფერშალიცაა. ექიმიც, ათთაქარიც, დოსტაქარიც (**хирургъ**), ეკონომიც და სხვა და სხვა. ქსენონს ბირველათ სკუთარი ექიმი ჰყოდა, მაგრამ როდესაც ის წასულა, ვითომ სხვების არავის ეკისრება ეს თანამდებობა და „მადლის“ გულისთვინ მაზრის ექიმი ბ-ნი მიხაილოვი დათანხმებულა. მართალია 600 მ. ჯამაგირი ტოტა ექიმისთვის, მაგრამ თუ რომ მომატებას ვერ მოახერხებდა ქალაქი, გაზეთებში მაინც უნდა გამოეცხადებია და ვინ იცის, როგორც ბირველათ, ეხლაც აღმოჩენილიუო ექიმი, რომელიც დათანხმდებოდა ამ ჯამაგირზე, იმ იმედით, რასაკვირველია, რომ დარჩენს ბრაქტიკით შეიგსებდა. გინა ტოტანი არიან ისეთნი, რომელნიც მხადთა ბრაქტიკით ცხოვრობენ?

ტოტა რამ აჭაურ მკუთიაქმედაც უნდა მოკახსენოთ. ეს ვაკანტური ოველ დინისძიებას ხმარობს, რათა „მუშაობა“ ბევრი იუოს ათთაქში, რომლის მოაჯარადრეთ თითონ გამხდარა, ამას გარდა ექიმთათც მოაქვს თავი და სწორეთ სასიცოცხლოდ, როცა ეს მატეურა ესკულაპი შედიდურათ შეიეენის ხოლმე ოთახში და სხვა და სხვა „სენსეის“ გადადის ავადმეოფის თავზე, ვითომ და გაშინჯვის სახით. ხშირათ გაიგონებთ აგრეთვე მისგან: „ამა და ამ ექიმის წამალმა არ გარგოს, მაშინ ჩემთან მოდითო“, და მის კმაუოფილებას საზღვარი არა აქვს, როცა ეს ვაკანტური „მსუქან მსუქან“ „რეცეპტებს“ უწერს ხალმე, როგორც თითონ უთქვამს, ავათმუოფებს. მეორე საშუალებით ფულების დასაცინლავათ ისიც მოახერხა თურმე ამ ვაკანტურმა, რომ ზოგიერთ ექიმებს განზრახ უგზავნის ავათმუოფებს, უეჭველათ ამა და ამ ექიმთან წადიო, რომლისგანაც სამაგიეროთ მსუქან რეცეპტს დებულობს. მესამე საშუალებათ ის მოახერხა, რომ რომელიმე ექიმის ტოლშეიდს, უფრო კი ბავშვებს გირვანქობით უგზავნის თურმე კონფეტებს, რათა ამათმა მამებმა „კარგა“ რეცეპტები უგზავნონ.

ამ ბებერ ქალაქში ერთი დიდი შესანიშნავი ბერი კიდევ იგულვება. ეს გახლავსთ ერთი უოფილი ბედაგოგი, რომელიც დღეს მთელი გორის სალაპარაკო საგნათ გამხდარა; ამ ვაკანტურმა ჯერ კიდევ მასწავლებლობის დროს გათქვა სახელი თავისი გარეგნული უოფა ქცევით, მარა მხდალი სახოგადოება თითქმის ეურადღებასაც არ აქცევდა მას.—სანქმე ამაშია, რომ სასიქადულო ბედაგოგი ფიზიკურათ ხორციდა თავის მოწაფეებს და მიუხედავათ ასეთი გარეგნულების და გათახსირებისა, არხეინათ განაგრძობდა თავის „მოდგაწეობას“. ერთხელ სანქმე, ასე გაშინჯეთ, გამოძაებამდისაც მასულა; ჩვენ დროის ბედაგოგს მოუხერხებია სანქმის ჩაეუჩქნება და ვითომ ბირნათლათ გამოსულა. ამ ბოლო დროს კი ბედმა უმუხთლა ზნეობა დაცემულ ვაკანტურს და მგონი მასეს ვედარ ასცდეს. მას ბრალდება და უმტკიცდება იგივე სახიზღარი დანაშაული, რომელიც ჩაედენია მას თავის შეგირდთან. იმედია, ეს გამოჩენილი „მოდგაწე“ თავის „მოდგაწეობის“ შესაფერ ჯილდოს დაიმსახურებს.

ეხლა ვიკითხოთ, როგორ ეკებება გორის „სახოგადოება“ ამ გვარ ბიროს? მიუხედავთ იმისა, რომ ეველა კაიძახის გულში: „ია სახიზღარ, ია საცამბირო“, როცა შეხვდებიან მას, „ზაჭრის გუმარჯოსო“, და ოჯახშიაც ეპატიჟებიან. ბ-ნი ზაჭრო კი იმ კანდიერებამდის მისულა, რომ ქალაქის თავათ თავის თავის არჩევასაც კი დამობდა; ამბობენ ბეური მომხრენიც უყვდა. ასეთია გორის ოფიციალური სახოგადოება, რომელიც ამ გვარ ბიროს ხელს აფარებს და თავზედაც იჯენს.

ვათავებ ამ წერილს ახალი ამბავით, რომელიც თითქმის ერთი კვირაა რაც მოხდა, მაგრამ გაზეთებში მაინც ჯერ არ ეოფილა დაბეჭდილი.

ამ ერთი კვირის წინათ აქ ფეხში დასჭრეს ბოლიციის მოხელე, რომელსაც ჯაშუშობას აბრალებდენ, ჩიკოიძე, რომლის დამჭრელს ბოლიცია დაეძებს, ჩაკოიძეს თავის სახლში ექიმობენ; ამბობენ ფეხი წაუხდებაო.

Ignotus.

—

ყარსის ოლქი. წინა წერილში გამეტნეთ, რომ ს. ჩახმახის მცხოვრებ მალაკანებმა უარი განაცხადეს გადასახადის მიცემაზე. ეხლა კი ჩახმახელებსა და ს. სალიმის მალაკნებს (სალიმი მდებარეობს უარსიდან 25 ვერსზე, ს. სარიყამიშში მიმავალ გზა-ტკეცილის პირას) გადაუწყვეტიათ, მიატოვონ უარსის ოლქი და ამერიკაში გადასახლდენ.

ეს ამბავი მთავრობას არ ეწყინება (ამაშიაც პროტესტი დაინახა) და მიზეზის გამოსაკვლევად მოხელე გუზავნა. მის შეკითხვაზე, რისთვის მიდიხართო, გამოვიდა ერთი მოხუცი მალაკანი და მიუგო: თქვენც მოგეხსენებათ, საკუთარი მიწა არ გვაქვს, სახელმწიფო მიწებს რომ ვიღებთ და ვმუშაობთ, იმდენი მოსავალი არ მოდის, რომ საარსებო მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ, იმდენი გადასახადები გვაქვს შეწერილი მიწაზე, სახლზე, თუ სანონელზე, რომ მთელი ჩვენი შრომა თქვენ მიიქციეთ გადასახადში და ჩვენი ოჯახი კი გამწარებულია, შიმშილს, სიცივეს მოთმინებით ვიტანდით და ვიტანთ. ვინ არის ჩვენი გამკითხავი?— არავინ, ისევ ჩვენ... რაც

გადასახადის აკრების დრო ახლოვდება—სამშვილს ადარ გვაძლევენ, არ კითხულობენ გვაქ რამე თუ არა—საქონელი მიეკვთ (როგორც 27 მარტს ყარსში მორეკეს ტორგით გასაყიდათ 50 სული საქონელი, მარა—არავინ იყიდა!) ბირუტყვებათ გვთვლიან უდიერათ გვეშურობიან. ასეთ ბირობებში აქ ცხოვრება ადარ შეგვიძლია, დღეს გადავწყვიტეთ ამერიკას გასტუმრათ, დარწმუნებული ვართ, ამერიკა არ გვიდალატებს და ჩვენი ცხოვრება იქ უკეთ მოეწყობა. ასე უხსნეს თავისი მდგომარეობის მთავრობას მადაკნებმა და ტოტა ხნის შემდეგ ამერიკისკენ იბრუნებენ ბირს.

ს. სარიყამიშის ახლო ორი სოფელი მდებარეობს: ს. ალისოფი და ს. ამამლი. ბირველში ცხოვრობენ ბერძნები (100 კომლზე მეტი), მეორეში—ოსები (40 კომლი). 8 აბრილს ვიდაცამ ამამლელებს წერილი ჩაუგდო რუსული ასოებით, თათრულ ენაზე დაწერილი, რომელშიაც აფრთხილებდა ოსებს და ალი-სოფელებს რომ 10 აბრილ სომხები, სომხის ჯანფიდები (თავზე ხელაღებულები) თქვენ ამოწყვეტას კმზადებიან და თქვენც მოემზადეთო. კიდევ გაფრთხილებთ (ასე თავდებოდა წერილი) დაიწყებს თქვენი ხოცვა-ყლეტა, როგორც ბაქოში იყოო... ძნელი წარმოსადგენია ის ბანაკა, რომელიც დაატყდა ალი-სოფ—ამამლელებს, საერთო შიშმა მოიცო მცოვრებნი და წერილით ხელში სარიყამიშს მიაშურეს, სადაც მეტი სომხობა ცხოვრობს და წერილი გადასცეს. სომხები შეწუხდენ, გაბრაზდენ... ჩვენ რა გვაქ ერომანეთში საჩხუბარი? ჩვენ ხომ ძმები ვართ? დღეს ყველა უნდა შეყრილიყო საერთო ბრძოლისათვის და... კიდევ არიან ისეთები, რომელთაც სურთ ჩვენ შორის შური-მტრობა ჩამოაგდონო?.. მათ ალი-სოფი—ამამლაში აფრინეს კაცები და დაამშვიდეს მცხოვრებლები.

შიში მაინც აუტანელი იყო. მარა ათმა აბრილმა მშვიდობიანათ ჩაიარა. შეუდგენ წერილის და მტრის ძებნას, მარა ვერაფერს თუ არა—არ ვიცი, ის კი ცხადია, რომ დღეს სომეხი, ოსი, ბერძენი ერომანეთს შიშით შესცქერიან და გაფრთხილებული არიან. ვინ არის ძმათა სისხლის დადვრის მსურველი? ჩემი აზრით ესენი ბაქოს დრამის ინიციატორთა ახლო ნათესავი უნდა იყვენ. ესეც მალე გამომეყავნდება".

დ. ქარცივაძე.

—

ქსნის ხეობა (დუშეთის მაზრა). ჩვენმა ხეობამაც გამოიღვიძა. ფეხ და ფეხ მისდევს სავრთო კულტთა მოძრაობას; მთელი ხეობა, მეტადრე ახალგორის საზოგადოება გარდა თვით ახალგორისა ერთ სულათ გადაიქცა.

— გაუმარჯოს ერთობას, გაუმარჯოს თავისუფლებას—ეს და გაისმის სოფლად.

დღითი დღე მოძრაობა ძლიერდება, მოთხოვნილება ფართოვდება, უკმაყოფილება ცხადდება, ყველა თავის სტკივარს გაიძახის. ეს უკანასკნელი იყო მიზეზი, რომ ბირველ ხანში გამოურკვეველი იყო სახე მოძრაობისა; დღეს კი ყველა ცალ-ცალკე სატკივარმა ერთათ მოიყარა თავი და წამოაყენა წინ ორი უმთავრესი გარემოება: ა) უკმაყოფილება მებატონეზე და ბ) დღევანდელ წესწყობილებაზე.

— მებატონეებმა ამოგვხადეს სული, გვჭამენ მუსრს და ეხლაც არ იშლიან. უწინ ჩვენ ცოლშვილსაც ესაკუთრებოდენ, კალთაში გვბამდენ, ძაღლებზედ გვცვლიდენ.. ეხლა გერს გვიმტერებენ, თავ-შესაფარ ალაგსაც თვითონ ჩუშლობენ. როგორც წინათ იყვენ მართლები, ისე დღეს არიან.. თურმე დაუბრიყვებიავართ და სამართალიც ამაშია!.

— ბაბა რა უნდა გაყწეო, ვის უნდა შესჩივლო—ბატონზე იჩივლებ, მაინც შენა ხარ დამნაშავე, გაჭარზე,—ისევ შენ, ღვდელზე მაინც შენ, მოსამართლეზე—აქ ტყვესაც გაგაძრობენ, გაბასხადზე ვიტყვით რასმე და მეტი რისხვა ადარ გვინდა. ბაბ სად არის აქ კანონი, სამართალი, როგორდა უნდა წადგას გლეხმა კაცმა ფეხი წინ!...

— ბაბ ვის რაში ეტყობა ჩვენი ბატრონობა, აძლევი ხარკი მუსრი გვეკლება, ჩვენ გვატყვებს, ჩვენ სისხლსა სვამს.. რომ გულ შემატკივარი გვეყვანდეს, განა ესე ვიქნებათ. ენის განძრევის ნება არა გვაქვს! რომელი ერთი ავიტანოთ! ყველა ჩვენი უფროსია, ჩათვრიც კი ჩვენი მბრძანებელიაა!!..

— ეს ამოდენა ხანია მაღაზიის ფულს გვართმევენ, როცა გაგიპირდებათ, მოგხმარდებათო. რა ვიცი, მუდამ წელიწადს თითქმის შიშვილი არ აგვცდება, ქვა იწვის ჩვენის ცოდვითა და ჩვენ მიცემულ ფულსაც კი არ გვახმარებენ. ამაზე მეტი აბურად აგდება!.. ბეგარაა და ლამის თავიანთ ბოსლებიც ბეგრით აწმენდინონ!.

— ტყუილია, შვილოსან, სხვისგან შველას ნუ გამოველით. ქათამი მელასთან ღრეჯით ვერას გააწყობს. დაგვრჩენია ჩვენ თავს ჩვენვე ვუპატრონოთ. მე ვხედამ სხვები, ჩვენი უფროსები ფუფუნებაში არიან, სიამოვნებენ, როცა ჩვენ მშიერ მუცელს ვალასლასებთ. ჩვენ თურმე საწველ ფურებათ ვდომებივართ!"..

გაისმის ირგვლივ ამისთანა ხმები. ამის შემდეგ ცხადია, რათ მოსპო ხალხმა ყოველივე კავშირი სასამართლოსთან, სხვა მოხელეებთან და ყველა ერთ ხმათ გაიძახის, ან სიკვდილი, ან ადამიანური სიცოცხლეო...

დროებით როგორც სხვაგან, აქაც დაიარსეს თავიანთი სასამართლო. ერთს, ან რამდენიმე სოფელს არჩეული ჰყავს თორმეტი კაცი, რომლებიც ასამართლებენ ურთიერთ შორის ატეხილ უთანხმოებას.

— სადღაა ჩვენში ან ჩხუბი, ან ქურდობა, როგორც ღარიდგან წყალი გადაუგდო, ისე გადავარდა, ან სად ვიყავით აქამდისინაცაო!— სიამაყით გაძლევენ პასუხს.

ესეთია აწმყო სურათი ქსნის ხეობისა, განსაკუთრებით, ახალგორის საზოგადოებისა. ხელი ხელ ჩაკიდებულნი ერთხმათ გაიძახიან ერთობას და მოუთმენლათ გულის ფანცქალით იხედებიან მომავლისაკენ. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს საზოგადოება შეიცავს ათზე მეტს სოფელს, რომელთა მცხოვრებნი არ აღემატება ათას კომლს. ამათში დროებით ვალდებულნი 780 მომლამდეა, სახელმწიფო 44 და ხიზანი 40.; დანარჩენს შეადგენს მესაკუთრენი, რომელნიც გარდა მცირე ნაწილისა სახლობენ სოფ. ახალგორში, მისდევენ ვაჭრობას, აი მიზეზიც, რატომ არ უერთდება ახალგორი საერთო მოძრაობას.

ვინა ვარ.

—

ქვემო-იმერეთი. ქვემო-იმერეთის გლეხკაცობა ოპოზიციაში ჩაუდგა დღევანდელ წესწყობილებას და უპირველესათ ყოვლისა მოითხოვა მისი დამღუპველი, გამაღატაკებელი პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადების მოსპობა. ს.ს. კუბში, გუბში, ღანირში, კულაშში, მანავხოკში, დედალოურში, ჩუნეშში, გვაბში, საწულუკიძოში, ივანდიდში, კონტუატში, ქვიტირში, გვაზოურში, პაკანში, გორ-მაღალაში, მაღლაკში, ეწერში (ქვემო იმერეთის სოფლებია) გლეხ-კაცობამ გადაჰკრილი უარი განუცხადეს სამღვდელოებას დრამის ფულის მიცემაზედ, და მვდელთ-მოქმედების სასყიდელი მინიმუმზე დაიყვანეს.—მღვდლებს ეძლევა: 1) ჯვარის წერისათვის 3 მანეთი, წინათ ზოგიერთი კერპი მღვდელი 50 მანათსაც კი აგაფცქვნიდა ჯვარის-წერისათვის; ჩვეულებრივი მღვდელი ხომ 10 მან. ნაკლებს არ დაგჯერდებოდა!!—2) მიცვალებულის დასასაფლავებლათ 2—3 მ.; წინათ კი მკვდარს 10 მ. ნაკლებ არც კი შეხედავდა; 3) წვრილ მღვდელთ-მოქმედებისათვის, როგორიც არის: პანაშვიდის გადახდა, ყმაწვილის მონათვლა და სხვა—50 კ.—1 მანეთამდე; ზოგიერთ ქვემო-იმერეთის სოფლებში გლეხკაცობამ სახელმწიფო გადასახადებზედაც უარი განაცხადა. აი, რა უთხრა მამასახლისს ხონის გაღატაკებულმა გლეხკაცობამ, როდესაც ესენი მიიწვიეს სოფლის სასამართლოში და გადასახადების გადახდა მოსთხოვეს: „ჩვა ვქნათ, არ შეგვიძლიან და ვერ გადავიხდით გადასახადს, გადასახადის ფული კი არა ლუკმა პურის ფული არა გვაქ, დაგეჯერდით იმ გადასახადებს, რასაც ჩუმათ, ფარულათ გვახდევინებ, ან და მოსპეთ ეს გადასახადები, მოაშორეთ წუმწუმას ის ბანდეროლია და თუ რაღაც ეშმაკი და მაშინ, 4-ს ვიყიდით კაპეიკათ, მოსპეთ ბაეგებია თუ რაღაც ჯანდაბა: არაყზე, შაქარზედ, და მაშინ ჩვენც შეძლება მოვეცემა გადვიხადოთ პირდაპირი გადასახადი, მანამ-კი არ შეგვიძლიან, ჩვენი წელი ვერ აიტანს ამდენ გადასახადებს!"

— ქვემო-იმერეთის გლეხკაცობა ქუთაისის, სამტრედიის, ბაღდადის, ხონის, ნაოღალევის (ეს უკანასკნელი სამეგრელოშია) საბოქაულოში შემდეგი პირობებით იღებენ სამუშაოთ მიწებს მემამულეებიდან: 1, პირველ ხარისხოვან მიწებზე მომუშავე გლეხს მიაქვს თავის ნაშრომის 4 წილი, ხოლო მემამულეს აძლევს 1 წილს, ესე იგი თავის

მონაგარის მეხუთედს.—2) მეორე ხარისხოვან მიწაზედ მომუშავე გლეხს მიაქვს თავის ნაშრომიდან 6 წილი, ხოლო მემამულეს უტოვებს მეშვიდეს. 3.—მესამე ხარისხოვანი მიწა ქირავდება ზემოთ აღნიშნულ საბოქაულოებში სამეცხრედოთ.

ილია ბახტაძე.

შინაური მიმოხილვა

ჩვენმა ავტონომისტ-ფედერალისტებმა დაკრეს ბუკი და ნაღარა და ერთ წუთსაც აღარ ცხრებიან. ავტონომია და ფედერაცია! აი რა იხსნის ჩვენ ხალხს, აი რა უშველის მას, რა გამოაფხიზლებს, რა წასწევს წინ, რა მიანიჭებს ბედნიერებას, ჩამოაგდებს სათნოებას და დაამყარებს კაცთმოყვარეობას! ავტონომია დააჯილოვებს ხალხს მთავრობასთან, შექმნის სახალხო მთავრობას, მოგვანიჭებს თავისუფლებას, მოსპობს ბურჟუაზიას. ავტონომია დღეს სახელმწიფო ბედნიერების უკანასკნელი სიტყვაა, ეს შეურყეველი ჭეშმარიტებაა, რომელსაც წინ ვერ აღუდგება ვერავითარი ძალა. იგი არა წამთ მხოლოთ დაბრმავებულ ადამიანებს, მის სარგებლობას ვერ გრძნობენ მხოლოთ ხალხის მატყუარები, სხვისი გამარჯვების მოშურნეები. მაგრამ მოვა დრო, როცა მისს იდეალებში დარწმუნდება, მის სარგებლობას ყველა შეიგნებს. დღეს კი ვინც საქართველოს ავტონომიას უარყოფს და ქართველ თავად-აზნაურობას და «ივერია-ცნობის-ფურცელს» გვერდში არ ამოუდგება, იგი ხალხის მოღალატეა, მას მშრომელი ხალხის სიავე სურს. საქართველოს ავტონომიის მოწინააღმდეგეთ არავითარი საბუთი ხელში არ უჭირავთ, მხოლოთ ცილის-წამებით და ჭორებით გადიან ფრონს. ვინიცობაა, თუ ამათ გაიმარჯვეს, ვინიცობაა, თუ ჩვენ ნაციონალურ—ტერიტორიალური ავტონომია არ მოგვენაჭა, და მთელ რუსეთში ერთი ცენტრალური საკანონმდებლო ორგანო, ანუ პარლამენტი დაწესდა, ქართველ ხალხს მაშინ აღარ ეცხოვრება, ჩვენ გამოგვსრესენ, ჩვენი მოსარჩლე იქ აღარავინ იქნებაო. აი მთელი ავლა-დიდება ჩვენი ავტონომისტ-ნაციონალისტებისა! აი მთელი დაუშრეტელი წყარო იმათი არგუმენტაციისა. ბეჭდვენ აურაცხელ წერილებს, მართაულ კრებებს, რომ ქართველი მუშა ხალხი დაარწმუნონ საქართველოსათვის ავტონომიის საჭიროებაში, მაგრამ ყოველივე ეს ჯერ-ჯერობით უნაყოფოთ რჩება: ქართველი მშრომელი ხალხის მოწინავე რაზმი გადაჭრით უარს აცხადებს დღევანდელ პირობებში ავტონომიაზე. რით აიხსნება ეს? შეიძლება ქართველი მუშა შეუგნებელია, მას არ ესმის თავის სარგებლობა? და მის მაგიერ, მის ზურგს უკან ამოფარებული, შეძლება სხვა ვინმე „დასელი“ ლაპარაკობს? თუ ეს ასეა, თუ მართლა ქართველი მუშა ხალხი, მისი მოწინავე რაზმი მაინც ასე შეუგნებელი და გონება დახშულია, თუ მისი მოტყუილება ადვილათ შეუძლია რომელიმე „დასელს“, რათ ავტონომისტ-ფედერალისტების გამუდმებულმა ღაღადმა იგი ვერ აცდუნა, და თავისებურათ ვერ მოარჯულა? მაგრამ უფრო გასაკვირალი მეორე გარემოებაა, სახელდობ ის, რომ ჩვენი მუშა ავტონომისტ-ფედერალისტებს არც ისე შეუგნებელათ მიაჩნიათ; პირიქით: საქართველოსათვის ავტონომია, იმათი აზრით, სწორეთ იმიტომ არის საჭირო, რომ ქართველმა მუშა ხალხმა უკვე დაამტკიცა ის, რომ იგი მომზადებულია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა უკეთეს საფუძველზე გასაწყობათ, რომ იგი კულტურულათ მაღლა დგას რუსის მუშა ხალხზე. მაშ თუ ეს ასეა, რათ ჩვენ მუშა ხალხს ვერ შეუგნია ავტონომიის სარგებლობა? ორში ერთი: ან მუშა ხალხი სრულებით მოუმზადებელია, ან ავტონომიას არ შეუძლია მისი დღევანდელი საჭიროების და მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ე. ი. ავტონომია არ შეესაბამება მის დღევანდელ მდგომარეობას. მაგრამ, როგორც ვიცით, მუშა ხალხის მომზადებას ვერ უარყოფენ ჩვენი ავტონომისტები, ამიტომ ისინი აქ თავისი-თავის წინააღმდეგი ხდებიან, როცა გაიძახიან, რომ მუშა ხალხს არ ესმის ავტონომიის მნიშვნელობაო.

არა ნაკლებ წინააღმდეგობას იჩენენ ისინი მაშინაც, როცა გაიძახიან, რომ სრულებით არ ვთხოულობთ განცალკევებას რუსეთთანო, რუსის ხალხთანო. ამ შემთხვევაში რაღას ნიშნავს ცალკე საკანონდებლო კრების, ანუ ნაციონალური პარლამენტის დაარსება, რომელსაც რუსეთის პარლამენტის დამოუკიდებლათ შეეძლება კანონების გამოცემა? თუ ამ ქართულ პარლამენტს მხოლოთ ადგილობრივი საქმეების მოწესრიგება ექნება მინიჭებული, ამისათვის ავტონომია სრულებით საჭირო არ არის, რადგანაც ეს საქმე ისედაც დაკმაყოფილებული იმ ვრცელი სათქმელი თვით მართველობის ნიადაგზე, რომელსაც თხოულობს მუშა ხალხი. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ ნაციონალისტებს ასეთი თვითმართველობა როდი აკმაყოფილებს. მათ სურთ საქართველოს ცალკე გამოყოფა, საკუთარი ბურჟუაზიული მთავრობის შექმნა, და ყოველივე ეს მუშა ხალხის სასარგებლოთ. და როცა მათ ეუბნებიან, რომ ჩვენთვის ეს არ არის საჭირო, ჩვენ არ გვინდა ზედმეტი ბარგი ავიკიდოთ, ჩვენ არ გვინდა, რომ ორი საკანონმდებლო ბურჟუაზიული მთავრობა შევქმნათ, ისინი ამაზე გვიპასუხებენ, რომ ჩვენი ბურჟუაზია სუსტია და მთელი კანონმდებლობა მუშა ხალხის ხელში გადავა და რათ არ გინდათ ესო! თუ სუსტია, ეს კარგი, მაგრამ ბურჟუაზიული მთავრობა არ ეცდება მის გამაგრებას, როცა კანონმდებლობა მის ხელში იქნება? ვინ არის ამის თავდები? ან შეიძლება ავტონომისტებს სურთ ვისმეს დაჯერება იმაში, რომ პოლიტიკურ რეფორმას სოციალური რეცორმაც თან მოყობა? ნუ თუ ისინი ასე გულუბრიყვილონი არიან? ან შეიძლება სხვები გონიათ ასეთი გულბრყვილონი?

ჩვენ აქ არას ვამბობთ იმაზე, რომ საქართველოს ავტონომია დღეს ნიშნავს ქართველი მუშა ხალხის დაშორებას მთელი რუსეთის მუშა ხალხთან; რომ იგივე ავტონომია მოასწავებს ნაციონალური განყოფილების გაძლიერებას, ერთა შორის მტრობის და მძულვარების განვითარებას. საქართველოს ნაციონალურ-ტერიტორიალური ავტონომიისა დღეს მხოლოთ ნაციონალურ შუღლის და მტრობის გაძლიერება შეუძლია და კლასსობრივი ბრძოლის გადაფუჩეჩება და დაჩშვიდება, ყველა ის საბუთები, რომლებიც ჩვენ ავტონომისტებს მოყავთ ავტონომიის სასარგებლოთ, ჩვენ მეტათ უსაფუძვლოთ, ბავშვურათ მიგვაჩნია, რომ იმაზე ღირდეს შეჩერება.

—

აქ აღვნიშნავთ მხოლოთ იმას, რომ როცა ჩვენი ავტონომისტები, ფედერალისტები და მათი მსგავსნი გამუდმებით ავტონომიის სარგებლობაზე ლაპარაკობენ, ქართველი თავად-აზნაურები, რომლებიც იმავე დროს ავტონომიის თავგამოდებული მომხრეები არიან, არხეინათ განაგრძობენ ქართველი სოფლის მუშების, გლეხების აწიოკებას, განადგურებას ამოჭდლეტას და მათი ცოლების და დების გაუპატურებას და ნამუსის ახდას.

—

ასე მოუვიდა თფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოებას. ვის არ ახსოვს ის, რაც აქ, თფილისში, ამ ხუთი წლის წინეთ მოხდა, როცა პირველათ გაიფიცენ ხსენებული საზოგადოების მოსამსახურენი? ვის არ წარმოუდგება თვალწინ მაშინდელი სისხლის ღვრა, რომელიც ტრამვაის მოსამ

სახურეთა გაფიცვამ გამოიწვია. მეორე მხრით, როგორ წუნარაათ და მშვიდათ მოხდა ახლანდელი გაფიცვა! რა მოხდა ამ ხუთი წლის განმავლობაში? მოხდა ის, რომ ტრამვაის მოსამსახურეებმა შეიგნეს თავის მდგომარეობა, მიხვდენ რომ ისინი წევრებია მთელი მუშა კლასის, პროლეტარიატის; რომ მათი ინტერესები ეწინააღმდეგება მთელი ბურჟუაზიის ინტერესებს ამიტომ იმათ გამარჯვებისათვის საჭიროა მთელი პროლეტარიატის შერეთება შეერთებული ძალით მოქმედება და ბრძოლა ბურჟუაზიასთან. და აი ეს შეერთება არის უძლიერესი იარაღი, რომელიც ამ ხუთი წლის განმავლობაში მოიპოვეს დანარჩენ მშრომელ ხალხთან ერთათ ტრამვაის მოსამსახურეებმა. გარდა ამისა ერთი ცვლილება კიდევ სხვა მოხდა, არა ნაკლებათ ღირსი აღნიშვნისა. ჩვენ ვამბობთ იმას, რომ ტრამვაის საზოგადოებას დღეს მთავრობა ველარ უწევს მფარველობას, როგორც ამ ხუთი წლის წინეთ ჩადიოდა. პოლიციელების და ჟანდარმების ხმალს, ყაზახ-რუსების მათრახებს და კეტებს და სალდათების თოფებს დღევანდელ გაფიცვის დროს ველარ იშველიებდა უსახელო საზოგადოება თავის მოსამსახურეთა დასამორჩილებლათ. ეს აშბავიც საგულისხმიეროა კავკასიის მუშა ხალხის ისტორიაში. ჩქარა სამი კვირე შესრულდება, რაც ეს გაფიცვა გრძელდება. მას ჯერ დასასრული არ უჩანს. უსახელო საზოგადოების გამგეები, როგორც დაჩვეული არიან თავის მოსამსახურეების დატყუილებას, დღესაც ყოველ ღონეს ხმარობენ ამავე მიზნით. უკანასკნელათ კიდევაც მოიწვიეს მოსამსახურეების წარმომადგენლები, ვითომც კიდევაც შეპირდენ ყველა მოთხოვნების დაკმაყოფილება, მაგრამ ყველაფერი ეს თურმე ხრიკი იყო, ჩვეულებრივი ხანი მოსამსახურეების დასატყუილებლათ. მაგრამ მუშები აღარ გაებენ მახეში, რომელსაც მათ გამოცდილ და დახელოვნებული ოინბაზები, საზოგადოების გამგეები, ფეხ ქვეშ უგებდენ. ამით ტრამვაის მოსამსახურეებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავის მომზადება და გამჭრიახობა. ვისურვოთ მათი გამარჯვება.

ბ ა ა ს ი.

მეორე. მაშ რათ არიან ასე ამხელრებული ეგრედ წოდებული დასელები საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგ? ჩემის ფიქრით მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანი საერთოდ კონსერვატიული ბუნებისაა. დღემდე დასელებს ავტონომიის შესახებ არაფერი გაუგონიათ და არ შეუძლიანთ უეცრივ შეიგნონ ეს აზრი.

პირველი. წარმოიდგინე, მეგობარო, რომ კერძოთ ჩემი შეხედულებით შენც ადამიანი ხარ ჭ როდესაც საერთოთ ადამიანებზე ლაპარაკობ უთუოთ შენი საკუთარი თავიც უნდა იქონიო მხედველობაში. თუ კონსერვატიული თვისება საერთო ადამიანთა თვისებაა, მაშასადამე შენც ისე გეხება როგორც სხვას. პირად შეურაცხყოფათ მიიღებ თორემ ასეთ აზრს რეგვენი და ჭკუა-მხიარული იტყვის. დღემდე დასელებს ,,ავტონომიის'' შესახებ არაფერი გაუგონიათო! შენი ამბავი რომ ვიცი გეპატიება ამაზე მეტი სისულელეც. კაცმა რომ ავტონომია იდეალათ არ დაისახოს, ეს იმას როდი ნიშნავს ვითომც იმის შესახებ არაფერი არ გაეგონოს.

მესამე. რაც მართალია, მართალია. ჩვენს დასელებს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველ ხალხის გამოფხიზლების და გათვითცნობიერების საქმეში, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მომავალი ისტორია არ აპატიებს მათ, რომ ასეთ დიდმნიშვნელოვან და ძნელ დროს ორი სკამის შუა დასხდენ.

პირველი. კაი დროს კი გაიხსენეთ ეს სიტყვა. რამდენი ხანია ,,დასელები'' აღარ გითქვამთ ანუ უკეთ რომ ვთქვათ აღარ გიგინებიათ. როგორ დაგიჯეროს თქვენ კაცმა: მაშინ როცა ,,დასელები'' შრომას შეუდგენ, მაშინ როცა ხალხის უმეტესობა ბნელი და გაუღიძებელი იყო; მაშინ როცა არაჭკუა ვლეხები, მწყემსები, ქალაქის მუშებიც ღრმა ძილში იყვენ და უსაზღვრო მორჩილებით აყვლეფინებდენ თავს ზოგიერთა თქვენს ამხანაგებს; მაშინ როცა პოლიციის ძლიერებას და ციხე ბორკილის შიშს თქვენთვის ენა დაემუნჯებია და პირი ვნება გაექრო; მაშინ როცა გლეხ-კაცობა ძუნებითა და საჩუქრებით მიდიოდა თქვენს მოკავშირე თავად-აზნაურობასთან; მაშინ როცა ყოველ ღონე გაქუცული ბოქაული ცალკე ავტონომიურათ განაგებდა თავის სამეფოს; მაშინ როცა ჭეშმარიტი სიტყვისათვის ყოველი მხრიდან დაცინვა და ლანძღვა ისმოდა; მაშინ როცა ყოველი პატიოსნური მოქმედებისათვის ციხითა და ციმბირით ისჯებოდენ სად იყავით თქვენ? რატომ არსათ სჩანდა, რატომ არსათ ისმოდა მაშინ თქვენი ხმა? მაგრამ უკაცრავათ, ვცდები! თქვენი ხმა ისმოდა' თქვენ ილანძღებოდით; თქვენ, ღალატს წამებდით, თქვენ სამშობლოს და ხალხის ორგულათ თვლიდით იმათ, რომლებიც ცხოვრების უკუღმართობას, ხალხში გამეფებულ უსამართლობას ებრძოდენ. თქვენ დასცინოდით იმათ მოქმედებას, იმათ მისწრაფებას; თქვენ ყოველ დონისძიებას ხმარობდით ხელი შეგეშალათ მათი მოძრაობისათვის, მათი საქმე გაგეშავებიათ, მათი პიროვნებისათვის ხალხის თვალში ჩირქი მოგეცხოთ! მას შემდეგ დიდი ხანია, ბევრმა წყალმა ჩაიარა, დრო გამოიცვალა. მუშამ იცნო თავისი მცარცველი: გლეხმა დაინახა თავისი მჩაგვრელი. ტანჯულმა კლასმა იცნო მტანჯველი და შეებრძოლა მას. ხალხმა გამოიღვიძა: მან უარყო მოძღვრის უკუღმართი ქადაგება, მოსამართლეთა უკუღმართი სამართალი. შენ თითონ ამბობ ხალხის გათვითცნობიერებაში ,,დასელებს'' დიდი ღვაწლი მიუძღვითო, მაგრამ გავიწყდება ისა, რომ შარშან წინ ხალხში მოქმედს შენ სასაცილოთ იგდებდი და მესამე დასელი თქვენთვის თითის საჩვენებელი იყო. განა თქვენ სიტყვას შეიძლება ვინმემ ყურადღება მიაქციოს?!

მესამე. რაც იყო იყო, მაგრამ დღევანდელ ღირს მნიშვნელოვან დროში ასე ყოველ ღონისძიებით ეროვნული საკითხების გადაფუჩეჩებას ხალხი არ აპატიებს დასელებს, არა! მაგრამ უმჯობესია კბილება გივუშინჯო მათ ,,ყოველგვარ'' საშვალებას.

პირველი. განა უმჯობესი არ იქნება საკუთარ კბილებზე დაიხედო?

მეორე. დღეს მოქმედი ძალა ჩვენსკენ არის. ოღონდ კნიაზი ნიკო კარგათ გვყავდეს და მალე დაინახავთ ხალხის მოძრაობა როგორ მიიღებს ეროვნულ-ნაციონალურ ხასიათს.

პირველი. კნიაზი ნიკო ვინ არის?

მესამე. როგორ თუ ვინ არის! ოზურგეთამდე რკინის გზა იმას არ გაიყვანა! კნიაზ ნიკოს მთელი საქართველო იცნობს. ახლა, ამ წინაზე განჯაში იყო გაგზავნილი.

პირველი. აჰაა! ვიცნობ, ვიცნობ მაგ ვაჟ-ბატონს ქეიფშია უცნაური! ახლა განჯელებს ეწვია? ეს ხომ ჩვენი ნიკოა,

ცნობილი ნიკო, ნაციონალისტათ შობილი! მერმე განჯაში რას გარჯიდა?!

მესამე. განჯაში ხომ ქართველები ცხოვრებენ! ოქვენ ქართველთა მიწა-წყლის არაფერი გაგეგებათ.

პირველი. ხელი მოუმართოს მისმა სალოცავმა, მაგრამ ეს კი ცნობილია რომ თქვენი კნიაზი საქმეს ვერ გაარიგებს. მაგ ჯურის ახალგაზდები ბლომათ ასხია საქართველოს, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროთ თითქმის ყველანი „ნაციონალისტები“ არიან. თქვენი კნიაზი ხუთი წლისა რომ იყო მას შემდეგ მღერის: „აბა დელი დელია დელია, საქართველო ჩვენია, ჩვენიაო“.

ფარდა.

ეშმაკი.

შ ი ლ ლ ე რ ი.

დღეს, როცა მთელი რუსეთის შეკნებული ნაწილი გაიფთრებით ებრძვის ძველ წესწყობილებას და ათასი მსხვერპლით ფენს გზას თავისუფლების მოსაპოებლათ,— გერმანია და მასთან ერთათ მთელი განათლებული კაცობრიობა დღესასწაულობს ასი წლის იუბილეის თავისუფლებისათვის მებრძოლი მწერლის და ფილისოფოსის, ფრიდრიხ შილლერისა. უმთავრესი აზრი და მიზანი გენიოსი მგოსნის ნაწერებისა, უმთავრესი და მასთან უწმინდესი მიმართულება მისი თხზულებებისა და თვით მისი ცხოვრების შინარსი—გამოხატება იმ მარტივსა და მრავალ მნიშვნელოვან სიტყვებში, რომელიც დღეს ყველას ენაზე აკერია: ძმობა, ერთობა და თავისუფლება. ის იყო მედგარი და შეურიგებელი მტერი ყოველივე დაჩაგვრის და ძალმომრეობისა; მას ესმოდა, რომ ბუნებით თავისუფალი ადამიანისთვის ცხოვრებას შეუქმნია ათასი შემბოჭავი და ხელის შემკვრელი პირობები, რომელნიც სუნთქვას უჭირვებენ, გზას უღობავენ მას ბრწყინვალე მომავლისაკენ, და ის დაუღალავათ ებრძოდა ამ პირობებს. სვინდისის, პიროვნების, სიტყვის და სხვა ამგვარების თავისუფლებას, რომელსაც ალე დაჟინებით მოითხოვს დღეს რუსეთი, შილლერი თვლიდა აუცილებელ, კანონიერ კუთვნილებათ ადამიანისთვის და თავის შვენიერ ნაწერებში სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებდა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა,“ რომელთა მეოხებით სიტყვა „თავისუფლება“ მხოლოთ ლექსიკონებში იხმარებოდა და იხმარება.

„შილლერის გულიდან უხვათ გადმოჩქეფდა ცხოველი, კეთილშობილი და ცეცხლივით აგზნებული სისხლი კაცობრიობისადმი სიყვარულისა, ზიზღი და მძულვარება ფანატიზმისა და ნაციონალური ცრუმორწმენეობისადმი, რომელიც აცალკევებს ადამიანებს და ავიწყებებს, რომ იგინი ძმები არიან.„ ერთ თავის საუკეთესო ტრაგედიაში, რომელსაც „დონ კარლოსი“ ქვია, შილლერს გამოყავს „მომავალ საუკუნეთა მოქალაქე»—მარკიზ პოზა, რომელიც თვით შილლერის აზრის და რწმენის გამომხატველია. პოზა შილლერსავით გულადი, შეუპოვარი, შეურიგებელი მტერია ძალმომრეობისა და პირდაპირ, დაუფარავათ უცხადებს თვით-მპყრობელ მეფეს თავის აზრებს. აი რას ეუბნება იგი ხელმწიფეს:

...თქვენ გაბედავთ თქვენი საქმის დაბოლოებას? გაბედავთ მთელი ქვეყნის გამოფხიზლების შეჩერებას? თქვენ შეაჩერებთ იმ საერთო ვაზაფხულს, რომელმაც მთელი ქვეყანა უნდა აამწვანოს, გააჭაბუკოს? ევროპაში მხოლოთ თქვენ, მარტო თქვენ გინდათ თქვენი უსუსური, მოკვდავი ხელით შეაჩეროთ გამალებული ბრუნვა ქვეყნის შემცველი ჩარხისა. თქვენ ვერ მიაღწევთ თქვენს საწადელს. მრავალი ხალხი გადიკარგა თქვენი სამეფოდან, ხოლო იგი, ვინც რწმენისთვის არის დევნილი და დასჯილი—საუკეთესო მოქალაქეა»...

წ ე რ ი ლ ე ბ ი გ ლ ე ხ ი ს ა დ მ ი

წერილი მეორეული.

იყო დრო, როდესაც შენ—გლეხკაცო—არავითარი მეგობარი არა გყავდა: შენ თვითონ იცი შენი თავის მეგობარიც და მტრისუფალიც. შენ არასოდეს არა ყოფილხარ კარგ მდგომარეობაში, არც დღეს ხარ, მაგრამ იმ უძველეს დროს მაინც შენი მდგომარეობა მეტათ საუბედური იყო: ყოველგვარი აზრი, რომელიც შენ დაგებადებოდა, შენშივე უნდა ჩამქრალიყო, ყოველგვარი თქრა, რომელიც შენში ადიძროდა, შენს არსებაშივე უნდა ჩამწყდარიყო; ყოველგვარი გრძნობა, ყოველი სურვილი, რომელიც შენს მოქანცულ ძარღვებსა და დატანჯულ გულს აღელვებდა, შენს გულშივე უნდა გამომხმჭვალიყო ისე, რომ შენ ვერავის გადასცემდი, ვერავის შესწევებოდი: მარტო შენ, და მხოლოთ შენ უნდა გეტირა შენს მწარე ხვედრზე, სხვა არავინ იყო შენი შემბრალე, შენი თანამგრძნობი.

მაგრამ ქვეყანაზე, ამ ქვეყანაზე, რომელიც მუდამ უსამართლობის, ძალმომრეობის და ათასგვარი ბოროტების მორევში დატურავს, ბევრი ცვლილება ხდება და ეს ცვლილება შენც განიცადე. რა იყავი შენ წინეთ? შენ იყავი მონა ე.ი. უბრალო ნივთი, უსულგულო არსება. შენ გმოელობელობდენ ისე, როგორც მაწყს, სახლს, ტანისამოსს, ცხენს და სხვ. შენ შეადგენდი შენი მფლობელის სრულს კუთვნილებას ისე, როგორც მისი ფეხსაცმელი, და ყოველგვარ ადამიანურ უფლებებს მოკლებული იყავი. შენ დღე და ღამ ბორკილში გამუშავებდენ და ქვეყანა უსირცხვილოთ უყურებდა ამ უსამართლობას; შენ გეიდღენ, როგორც უსულო საქონელს, და ქვეყანა ურცხვათ აკანონებდა ამგვარ ძალმომრეობას; შენ მოკლებული იყავი ყოველგვარ საკუთრებას და ქვეყანა მხარს აძლევდა ამგვარ ავაზაკობას; შენთვის დახშული იყო მამაშვილური. გრძნობა, ოჯახური ბედნიერება და სიზოგადოება ამართლებდა ამგვარ ტირანიზმს—ადამიანის ბუნების სავინათ აგდებას. ათასში ერთი თუ გამოჩნდებოდა იმისთანა, რომელსაც შენ მხოლოთ თავის გულში ებრალებოდი.

დრო იცვალა და შენ გადიქეცი ეშათ. რა იყო ეშა? იგივე მონა მხოლოთ ზოგიერთი ვითომდა ადამიანური უფლებით: ურცხვმა ქვეყანამ შენში აღიარა სული და გული, მაგრამ ადამიანური კი არა—რადაც სხვანაირი, ბევრათ უფრო მდაბალი. შენ მოგეცეს მცირედენი საკუთრება, მაგრამ რა მნიშვნელობა ქონდა შენთვის ამ უფლებას, როდესაც შენ ქორ-მეძებარში გეცვლიდენ და ამით სამუდამოთ გაშორებდენ შენ საკუთარ კარ მიდამოს?! შენ მოგეცეს საკუთარი ოჯახი, მოგეცეს ნება, შეიძინო მამა გამხდარიყავი, და ამით ვითომ ქვეყანამ დაგაკმაყოფილა შენი გრძნობა—გრძნობა ადამიანისა და მამისა, მაგრამ ერთი მითხარი, რა მნიშვნელობა ქონდა შენთვის ამ უფლებას, როდესაც ერთ შვენიერ დღეს ტოლს ადამიანებში გაგიეიდდენ, შვილს დასავლეთში და შენს ქალიშვილებს მოახლეებათ უმზადებდენ ბრწყინვალეთა ქალწულებს?! რაგორ გეყურებდა მაშინ ქვეყანა? რას ფიქრობდა შენზე? სრულებით გულგრილათ გიყურებდა მაშინ ქვეყანა, ქვეყანა შენთვის არა ფიქრობდა, ათასში ორი თუ გამოჩნდებოდა ისეთი, რომელიც შენზე ფიქრობდა, რომელსაც შენ ებრალებოდი.

დრონი იცვალენ. ეშის უღელი მოგაცილა ქვეყანამ და დაგარქვეს ნაშეკი. რა არის ნაშეკი? ადამიანი, რომელსაც უფლება აქვს, ან შეიშალოთ მოკვდეს არც თავისი შრომის უმეტესი ნაწილი სხვას დაუთმოს და თავითონ კი ნამეტებით დაკმაყოფილდეს! შენ გაგათავისუფლეს ე. ი. ჩამოგართვეს მიწა, ურომლისოთაც შენ ცხოვრება არ შეგეძლო, და გითხრეს: თავისუფალი ხარო. რაგანაც ადამიანს ჰკვრით ცხოვრება არ შეუძლია, შენც იძულებული გახდი, დამორ-

ჩაღებოდი მას, ვისაც ქვეყანამ მიწა არგუნა და გერხინა ის შენის შრომით, რომ ამ შრომაში შენი სჯუთარი თავიც გამოგეტანებია. როგორ დაგიწეეს ეურება ამგვარ მდგომარეობაში? ფიქრობდენ შენზე? უმეტესობა მტრულის თვალით გიეურებდა, უმცირესობა ხანდახან მოცდილობის დროს შენზედაც ფიქრობდა; უმცირესის უმცირესობის კი თითქოს გული შესტკიოდა შენთვის; ცოდვაც არ უნდა თქვას ადამიანმა: მხოლოთ ღაპარაკობდა ისიც მორიდებით, გუბედავთ: გული შემტკივა. სანამ ამგვარ ცვლილებას განიცდიდი, დიდმა დრომ გაიარა, მაგრამ მაუხედავთ ამისა ქვეყნის შეხედულება, ქვეყნის აზრი შენზე დიდათ არა ცვლილა: წინეთ, როცა მონა იყავი ან არავითარ გრძნობას არ იწვევდი ქვეყნის გულში ან უფრო ხშირათ ზიზღს; შემდეგ და შემდეგ ზიზღი სიძულვილათ გადიქცა და აქაც თუ გაისმოდა მკრთალი ხმა სიბრალულისა.

წინეთ შენ იყავი შეშინებული, მორიდებული, დაბეზღებული, მაგრამ დრონი იცვლენ. ქვეყნის გულგრილობამ შენში განავითარა უნდობლობა: შენ თან და თან მიხვედი იმ უტეურ დასკვნამდე რომ გაჭირვებულს არავისი იმედი არ უნდა ჭონდეს, გარდა სჯუთარი თავისა. ტანჯვამ და შეცოწრებამ შენში განავითარა სულის სიძლიერე, გულის სიმაგრე და სივაჟკაცე. მთელი შენი ცხოვრება მონობიდან მოყოლებული დღევანდლამდე მხოლოთ სასწავლებელი იყო, სადაც შენ ერთათ-ერთი მასწავლებელი—ცხოვრება-გამზადებდა და გწრთვნიდა, რომ შეგეცნო, თუ როგორ და რა გზით უნდა ბრძოლა ადამიანური ცხოვრებისათვის. დღეს შენ უკვე დავაჟკაცდი და ბრძოლის ველზე გამოხვედი. ბერველი სკითხი, რომელიც ებადება უკვე შენს გეთაღის მოფენელს, ეს არის: გაქვს კი შენ სკმაო ძალა, რომ გამარჯვება მოიპოვო? ამ კითხვაზე პასუხის მიცემა ფრიათ ადვილი იქნება, თუ შევხედავთ სახეზე მათ, ვის ბერდაბერაც შენ გაიზარდე ადამიანთ. ეკეღა შენს მტერს დღეს სახეზე შიში ეხატება, —ამ შიშს ისინი ვედარ მალავენ! როგორ იცვლება დრო! წინეთ ვის ეშინოდა შენი?! დღეს კი შენი ეშინიათ და ეს შიში სკეეთესო მიჩვენებელია იმ გარემოების, რომ შენ სკმაოთ ძალმოხვედი ხარ და ამ ძალს შენი მტერნი თვალს ვედარ უსწორებენ. წინეთ თუ ზიზღითა და სიძულვილით გიეურებდენ, დღეს გეფიცებიან: შენთვის სიკეთის მეტი არაფერი არა გვსურსო. ურცხვათ სტეუან, არ დაეჯერო! შენთვის მათ სიკეთე არასოდეს არა სურდათ, არც დღეს სურთ და არც მოესურვებათ როდესმე. გულში დღეს უფრო ეჯავრებით, დღეს უფრო სძულხარ მათ, მაგრამ შენი ეშინიათ და მალავენ ამ სიძულვილს; თუთრ კბილს გაჩვენებენ მაშინ, როდესაც გული გეწრიგით შავი აქვთ. არ დაეჯერო, არ მოტეეშდე! დღეს როდესაც შენ ძალიერი და ენა ადგმული გიხილეს შენმა მტარვალებმა (დღემდე ხომ ბერეტეეებით გთვლიდენ!), ენას გაქიცანებენ: შენ გონიერი ხარ; მითხარი, რა გინდა, რა გსურს და ეოველთეეერს აგისრულებთ, მზათ ვართ, გემსახუროთო! სტეუან, არ დაეჯერო! განა მათ კი არ იცოდენ, რომ შენ ადამიანი ხარ და მაშასადამე ადამიანური ცხოვრება გინდა? იცოდენ, კარგათ იცოდენ, დიდიხანია, მაგრამ შენ მხოლოთ მონათ უნდოდი და არასეერს შენთვის არ იმეტებდენ. დღეს კი, როდესაც დაინახეს, რომ შენ ძალა გაქვს და მაშასადამე შეგიძლია შენის სჯუთარი ხელით მოაწეო შენი ცხოვრება ისე, როგორც ეს შენთვის საჭიროა, შენი მტრები ცდილობენ, რომ რაც შეიძლება მოგატეუონ, თვალები აგიხვიონ და ცოტაზე შეგაჯერონ, ბატარა დიდათ მოგაჩვენონ. გაფრთხილდი, ჩემო ძმაო, არ მოსტეუდე, ადარ შედგე! მათ რომ შენთვის რისამე მოცემა გულით დომოდათ, მერწმუნე, დიდი დრო, ძალიან დიდი დრო ჭონდათ, რომ ათასჯერ მოეცათ. დღეს კი ძალდატანებით მოცემული, ნაწეალობები შენთვის საჭირო ადარ არის: შენ თვითონ შეგიძლია, იაღო ის, რაც შენთვის საჭიროა, და ნუღარ შედგები, გასწი წინ! და მერწმუნე, როგორც შენს მგობარს: იმედნის შენ არავინ არ მოგცემს, რაშდენსაც შენ თვითონ მისცემ შენს თავს.

დღეს შენ ხარ გლეხი ტანჯული, გაჭირვებული, ადამიანურ ცხოვრებას მოკლებული. გუშინაც ასეთი იყავი; მაგრამ გუშინ შენ იყავი აგრეთვე სუსტი, დღეს კი ძლიერი ხარ; გუშინ არავინ არ ხედავდა შენში ძალას, დღეს კი ეველა ხედავს; გუშინ მტერს არ ეშინოდა შენი, დღეს კი ძალიან ეშინია. დღევანდელი წამი დიდებული წამია. ამ გვარი წამი ტანჯული ადამიანის ცხოვრებაში ხშირი არ არის და ამიტომ ეველა დონე, მთელი შენი გონიერება უნდა იხმარო, რომ რაც შეიძლება ხარბათ ისარგებლო ამ დროთი. მტერი რეტდასხმულია, გაბრუებულია, ის ადგათ არ მოელოდა შენს ამგვარათ მომეფებას და ამიტომ შენ დაამარცხებ მას, გაამარჯვებ შენს ხელშია; თუ მოაწეეე შენი ცხოვრება ადამიანურათ, დღეს მოაწეეე, თვარა, თუ კი ეს დიდებული წამი ხელიდან გაუშეი, მაშინ უნდა სწიო ძველებური უღელი: დიდხანს ადარ გელირსება რიგიანი ცხოვრება. თუ განთავისუფლდი მონობისაგან, ბირუტეული მდგომარეობისაგან, დღეს განთავისუფლდი, თუ არა უნდა ატარო მონის ბორკილი ვინ იცის, რადემდის.

ი. გომართელი.

სოფლის მასწავლებელთა კრების გამო.

საბრალო სოფლის მასწავლებელი! არ იქნა ეერ გაიგო, რომ თანამედროვე წეს-წყობილებაში მისთვის კანონი არ არის დაწერილი: დაიბარებენ ქუთაისში, მიდის; დაითხოეენ,—პრუნდება უკან. განა არ იცის მან რისთვის იბარებენ, ან რისთვის ერეკებიან ისევ უკან?! იცის მაგრამ მონობაში აზრდილ ადამიანს ძნელათ შეუძლია თავის ქერქიდან გამოსეელა. თბილისის პედაგოგთა კრებაზე ერთმა ორატორმა თქვა: „რა არის ახლანდელი მასწავლებელი? ის არის პიროვნება დაკარგული არსება; ის ისეთი ადამიანია, რომელსაც საკუთარი ნება, საკუთარი აზრი არა აქვს. ბავშვობის დროს იმის პიროვნებას მის მაგვარივე მასწავლებელი ჩაგრავდა და ახშობდა, ხოლო სწავლის შემდეგ, როცა თითონ გახდა ყრმათა გონების მჩაგვრელი, კიდევ იჩაგრება თავისი უფროსების თვითნებობისაგან. ის უფროსის სახეზე კითხულობს თუ როგორი პასუხი უნდა უთხრას მას: იცინის მაშინ, როცა უფროსი იცინის და დაღვრემილია—როცა ის იღვრიმება“.

სრული ჭეშმარიტებაა ამ სიტყვებში. საზოგადოთ ეველა პედაგოგები და კერძოთ სოფლის მასწავლებლები ისეთ უზომო გასაჭირს და უფროსთა თვით-ნებობას იტანენ, რომლის ატანა მხოლოთ პიროვნება შელახულ ადამიანს შეუძლია. ის იძულებულია იფიქროს და იმოქმედოს ისე, როგორც ეს მის უფროსებსა სურთ; იმ უფროსებს, რომელთა გონებრივი ძალა და სიფხიზლე, ზნეობრივი სიფაქიზე და სისპეტაკე ძლიერ საეჭვო მდგომარეობაშია. ათას გვარი მოწერილობა და კერძო დარიგება მხოლოთ იმას ღაღადებს, რომ მასწავლებელი ჩამოაშოროს საზოგადოებას, დაამწყვდიოს სკოლის კედლებში და იქ გამოაღრჩოს თავისი გამხრწნელი ხელმძღვანელობის წყალობით.

განახლებულ ცხოვრებას გზას ვერ აუქცევდენ ვერც სოფლის მასწავლებელნი რა გინდ უხვი მოწერილობა მოსეელოდათ მათი უფროსებისაგან და აი მართლაც მთელ ქუთაისის გუბერნიაში პირველ დაწყებით სასწავლებლებში სწავლება შეწყდა. «დღევანდელ პირობებში სკოლებში სწავლის გაგრძობა შეუძლებელათ მიგვაჩნიაო“ დაადგინა მასწავლებელთა კერძო კრებამ ქუთაისში და მართლაც ასეა. დღეს ადამიანი სკოლაში ველარაფერს ისწავლის: დღეს ჩვენი სკოლა სოფელი და ქალაქია. დღეს გაკვეთილებს თითონ ცხოვრება იძლევა სოფლის მოედნებსა

და ქალაქის ქუჩებში. მასწავლებლებიც იქ არიან საჭირონი. ჯერ ნებართვა კრებისა ქუთაისში და შემდეგ უვარი—საუკეთესო გაკვეთილია სოფლის აღმზრდელთათვის.

ნ. კ—ძე.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ამ დღეებში ცნობილ ვარტენბერგს, რომელმაც განსაკუთრებით რკინის გზის მემანქანეთა და იმათ თანაშემწეთა გაფიცვის დროს ისახელა თავი საპატრო დიმპლომი მიარგვეს მისმა თანამოსამსახურე ინჟინერებმა, ცნობილი ლიბერალის არშაკ ბაბოვის მეთაურობით. დიპლომის მიმცემნი, სხვათა შორის ამბობენ, რომ ჩვენი ამხანაგი ლ. ო. ვარტენბერგი ცნობილია, როგორც მეტათ ჰუმანიური, ყოვლად პატიოსანი, გულკეთილი და კეთილის მყოფელი კაცი. (იხ. გაზ. „Кавказъ", № 106). და აბისათვის ჩვენ არ გვჯერა, რომ მათი ვარტენბერგი თავის ქვეშევრდომთ ოდესმე ცუდათ მოქცეოდეს. როგორ გონია. მკითხველს: ამით დამტკიცებულია მათი ვარტენბერგის ყოვლად პატიოსანი და მეტათ ჰუმანიური ხასიათი? ჩვენ ვგონია რომ ბ-ნთ ინჟინერებს და ინჟინერ-ტეხნოლოგებთ ტყუილათ შეუწუხებიათ თავი. მხოლოთ ერთი მნიშვნელობა აქვს იმათ განცხადებას, სახელდობ—ის, რომ ბ-ნ ვარტენბერგის საქციელი იმათთვის არა თუ სათაკილო და გასაკიცხი არ ყოფილა, არამედ მეტათ მოსაწონი და სასურველი. მაგრამ ამაში ჩვენ აქამდისაც დარწმუნებული ვიყავით. ნაყოფი ხისაგან და ხე ნაყოფისაგან იცნობების,—სწორეთ ჩვენ ინჟენერებზე და ინჟენერ-ტეხნოლოგებზე ითქმის, მხოლოთ ჩვენ არ მოველოდით, რომ ისეთ დროს, როცა საზოგადოება ყოველგან უსამართლობას და სიბნელეს ებრძვის, ჩვენი ინჟენერები ასე ურცხვათ ვამოეკიდებოდენ ისეთ კაცს, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე თელავდა და ამცირებდა თავის ქვეშევრდომთა პიროვნება და ადამიანურ ღირსებას.

—

ყველამ იცის. რომ ჩვენში მოიპოვებიან ისეთი ვაჟბატონები, რომლებიც არა მკითხველის როლს თამაშობენ. ისიც იციან, რომ ამ ვაჟბატონებში პირველი ალაგი ბ-ს კალამს უჭირავს. «ცნობის ფურცლის» № 2800-ში, იგი ხელ-ახლა გაიძახის, რომ «ჩვენი ხალხი სწორეთ რომ ავტონომიურიაო». «მართალია პირდაპირ ავტონომია მხოლოთ რამდენსამე ალაგას იყო მოთხოვნილი (სახელდობ სად? რათ არ ამბობთ, ბ-ნო კალამო!); სხვაგან თუმცა ხალხს არ უხსენებია სიტყვა ავტონომია (თითქო სადმე მართლაც ეხსენებიოს ხალხს ეს სიტყვა!), ხოლო ის, რასაც ხალხი პრაქტიკულათ თხოულობს, იმის შესრულება შეიძლება მარტო ავტონომიური მმართველობის შემწეობითაო". გამოდის, რომ ხალხს არ ესმის, რასაც იგი თხოულობს, მან არ იცის, თუ როგორ, რა სიტყვით გამოხატოს თავის სურვილი და მისწრაფება. და აი მას ბ-ნი კალამი ვეჭლობას უწევს: მართალია სიტყვა ავტონომია ხალხს არ უხმარია თავის მოთხოვნების გამოსახატავათ, მაგრამ ეს მას უვიცობით მოუვიდა, და აი მე, როგორც ინტელიგენტი და ხალხის აპეკუნი, ვაცხადებ, რომ ხალხს ეროვნული, კარ-ჩაკეტილი ავტონომია სურს და სხვა არაფერი! „ჩვენ გვინდა ავტონომია მხოლოთ იმიტომ, რომ ამას მოითხოვს ხალხის სარგებლობა და თვითმართველობა". ხალხი ბრიყვი და უგუნური ქმნილებაა. თავის სარგებლობას ვერ ხედავს, თორემ იგი არასოდეს ეროვნული ტერიტორიალური ავტონომიის წინააღმდეგი არ იქნებოდაო.

კმარა, ბ-ნო კალამო! გეყოფათ! დამილოცია თქვენთვის სავსებით „ავტონომია". ნუ გგონიათ, რომ ჩვენ შეგვშურდა თქვენი სახელი, თქვენი შარავანდედით შემოსვა, ვინაიდგან თქვენ პირველათ მოითხოვეთ ქართველი ხალხისთვის ავტონომია. მაგრამ ნუ დაივიწყებთ კი იმას, რომ ქართველი ხალხის მაგიერ ქართველი თავად-აზნაურობა გაძლევეთ თქვენ ბანს. თუ თქვენ სხვებს უკიჟინებთ, რომ „ხალხს ამოფარებიან ზურგს უკანო, ნუ გეწყინებათ, როცა პირში გიპასუხებენ, რომ თქვენ თითონ თავად-აზნაურობას ამოეფარეთ ზურგს უკან და ეს საყვედური ბევრათ უფრო სამართლიანი იქნება.

რუსეთის ქრონიკა

18 აპრილისათვის (1 მაისი) ვარშავაში ელოდენ მშვიდობიან მანიფესტაციას, მაგრამ პოლიციამ წინ-დაწინვე გამოაცხადა ქუჩებზე შეკრების ნებას არავის მიეცემთო. ამ დღეს დაკეტილი იყო ყველა ფაბრიკა, ქარხნები, მაღაზიები და სახელოსნოები; მთელი ქალაქი მკვდარს გავდა: არც ტრამვაის ვაგონები იყო, არც ეტლები. 12 საათზე ვრონიას ქუჩაზე გაჩნდა დიდი ბრბო (500 კაცამდი), მიიარ-მოიარა ის ქუჩები სადაც მუშა ხალხი ცხოვრობს, და მალე ათი ათასამდე კაცი შეიყარა ერთათ. მანიფესტანტებმა ააფრიალეს წითელი დროშები და იერუსალიმის ხევანისაკენ გაემართენ; მაგრამ არ გაუვლიათ ასი საჟენი, რომ ცხენების ჭენებით დაეტაკენ ხმალ-ამოღებული ულანები; ულანებს ქვეითთა ჯარი მოჰყვა. ოფიციალურ გაზეთში ასეა აწერილი ეს მანიფესტაცია: კარგათ ვერ ჩაიარა 18 აპრილის (1 მაისის) დღემ ვარშავაში. თერთმეტ საათიდან დაიწყო ხალხმა თავის მოყრა, შემდეგ დაუწყეს თავდასხმა და რევოლვერების სროლა სალდათებსა და პოლიციელებს, ასაფეთქებელი ყუმბარაც ისროლეს. ზოგ შემთხვევაში ჯარი იძულებული იყო იარაღისთვის მიემართნა და ამიტომ მოკლულებიც არიან და დაჭრილებიც. დილის 11 საათზე ვორონისა და ხოლოდნას ქუჩების კუთხეში პოლიციელმა დაინახა რომ ვიღაც კაცი აშკარათ არიგებდა პროკლამაციას. პოლიციელმა სცადა მისი დაჭერა და ამ დროს გაისმა რევოლვერის ხმა; ტყვია არ მოხვდა პოლიციელს; სამაგიეროთ ყაზარმის დარაჯმა ესროლა პროკლამაციების დამრიგებელს და იქვე მოჰკლა. მოკლული აღმოჩნდა ტეხნიკურ შკოლის მოსწავლე კარლ შონერტი 19 წლისა. 12 საათზე კორმელიტის ქუჩაზე შეიკრიბა ორასამდე კაცი, წითელი დროშა ააფრიალეს და ერთ სახლის კარების შემტვრევა მოინდომეს. ორი პოლიციელი ცდილობდა წესიერების აღდგენას, მაგრამ ამათ დანებით მისცვივდენ. პოლიციელებმა სროლა ასტეხეს და ბრბოც დაიშალა. პირველ საათზე შეიკრიბა სლიზკაიას ქუჩაზე ორიათასამდე კაცი, ააფრიალეს წითელი დროშა და ორ საათზე ბარშალკოვსკაზე გავიდენ, მაგრამ აქ პოლიციელების და ჯარის კაცები შეხვდენ. ხალხიდან რევოლვერები გაისროლეს და მძიმეთ დაიჭრა უბნის ზედამხედველი ეჯუტა. პოლიციელებმა და სალდათებმაც ესროლეს, ხალხი გაიქცა და ადგილზე დატოვეს 25 მოკლული და 20 დაჭრილი; დაიჭირეს 50 კაცამდე. საღამომდე ქალაქის ბევრ ადგილს იკრიბებოდა ხალხი, მაგრამ პოლიციის ან ჯარის გამოჩენისათანავე გარბოდენ. ვენის ვოკზალის პირდაპირ ხუთ ყაზახ რუსს ესროლეს ყუმბარა: დაიჭრა სამი-ყაზახი, პოლიციელი და ორი ქალი. ყაზახის ცხენები სამივე მოკვდა. აფეთქების ძალა ისე დიდი იყო, რომ მთელს ქალაქში გაიგონეს; ახლო-მახლო სახლის ფანჯრები სულ ჩაიღეწა; ერთი ცხენის თავი ნახეს სხვა ქუჩაზე... ათ საათზე ხალხი შეიკრიბა

ზომბკოვსკაიას ქუჩაზე და სროლა დაუწყეს მოდარაჯე ჯარის კაცებს; როცა ორი ჯარის კაცი დაიჭრა, რაზმმა თოფები გაისროლა. ხალხი გაიქცა, ადგილზე დარჩა ოთხი მოკლული. ღამე მშვიდობიანი იყო. (ვ. დ.).

—

18 აპრილს (1 მაისს) ლოძში არეულობის დროს 8 კაცი დაიჭრა. (ვ. ს.)

—

ამავე დღეს კალიშში ჯართან და პოლიციასთან შეტაკება მოუვიდა 4000 კაცს, რომელიც 1 მაისის სადღესასწაულოთ შეკრებილიყო ქალაქგარეთ. ხალხს უცემნია ჟანდარმებისათვის, დაუჭრია 2 სტრაჟნიკი და პოლიციელებისათვის იარაღი აუღიათ. ჯარს ხალხი რევოლვერების სროლით დახვედრია, ჯარსაც თოფი დაუხლია და 3 კაცი მოუკლავთ. ჯარის მხრი დაჭრილა 1 ოფიცერი. (რ.)

—

ოდესაში პოლიციას იარაღის საწყობი აღმოუჩენია.

—

6 აპრილს ქალაქ კიშინიოვში ჟანდარმებმა საიდუმლო სტამბა აღმოაჩინეს და შეიპყრეს კაცი და ქალი, ცოლ-ქმარი, სძორეთ იმ დროს, როცა ესენი სარევოლიუციო პროკლამაციებს აწყობდენ. (ვ.)

—

7 აპრილს ოდესაში გაირჩა პოლიტიკური საქმე როეკისა, რომელსაც „სარევოლიუციო პროკლამაციების გავრცელება“ ბრალდებოდა (ვ).

—

იმავე დღეს ვილნაში გაირჩა საქმე 17 წლის მილნერისა, რომელიც „სარევოლიუციო პარტიას ეკუთვნოდა“. მილნერს 1 თვით და 7 დღით დაპატიმრება გადაუწყვიტეს (ვ).

—

ამ დღეებში პლოცკში მთელი კრება დაიჭირეს. დაპატიმრებულთა შორის იმყოფება პოლონეთის ცნობილი მწერალი ადამ ნემიროვსკი (ვ).

—

ვლადიმირის გუბერნატორმა საერობო უფროსებს ბრძანება გაუგზავნა, ყველა არაკეთილსაიმედო და საეჭვო პირთა სია შეადგინეთ და გამომიგზავნეთო. ერთმა საეროპო უფროსმა უარი განაცხადა, რისთვისაც გუბერნატორმა ადგილიდან დაითხოვა (ვ. ა.).

—

20 აპრილს ნევის ქარხანაში, რომელშიაც 10 ათასამდე კაცი მუშაობს, რაღაც ჩოჩქოლი დაიწყო. მუშებმა აქა-აქ სიტყვები წარმოსთქვეს. „ხალხმა მუშაობაზე ხელი აიღო“ და „ურა“-ს ყვირილით გარეთ გამოვიდა. ამ დღეს მუშაობა არ ყოფილა (ს. ო.).

—

როსტოვში (დონის) ამას წინათ ბოქაულმა ლეონტიევმა თავის ნებით პოლიციელებს თავი მოუყარა და მოსწავლენი აიკლო. მთავრობამ ბოქაული «თვითნებობისთვის» ჯერ სამის დღით დააპატიმრა და მერე პოლიცმეისტრის თანაშემწედ დანიშნა (ს. ო.),

—

20 აპრილს ხერსონის საერო ბიბლიოთეკაში ექიმ ქალს იაკოვენკოს მოხსენება წაუკითხავს პიროგოვის კრების შესახებ. რეზოლიუცია დამსწრეთ ყვირილითა და აღტაცებით მოუსმენიათ, მერე კი ქუჩაში გასულან და დემონსტრაცია მოუხდენიათ, (რ. ვ-).

—

22 აპრილს პეტერბურგში ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა დარბაზში შესდგა კრება. პეტერბურგელ გაზეთების ასოთ ამწყობთა წარმომადგენლების. კრებას დაესწრო 18 სხვა და სხვა გაზეთის წარმომადგენელი. «ნოვ. ვრ.» ასოთ ამწყობები არ იყვენ მოპატიჟებული, რადგან მათ ბოიკოტი გადაუწყვიტეს.

უქმე დღეებზე დასვენების შესახებ კრებამ შემდეგი გადაწყვიტა:

1) იუქმონ: ყველა კვირა დღეები, აღდგომა და აღდგომა—მეორე დღე, შობა და შობა—მეორე დღე, ამას გარდა შემდეგი დღესასწაულები: ახალი წელიწადი, ნათლის ღება, მირქმა, ხარება, ამაღლება, სული წმიდის მოფენის პირველი დღე, ფერის-ცვალება, ღვთას მშობლის მიძინება, ღვთისმშობლობა, ჯვართ-ამაღლება, ნიკოლოზობა (6 დეკემბერი). 2) რადგან გაზ. „პრავიტ. ვესტნ.“ ასოთ-ამწყობები აქამდისაც ისვენებდენ აღნიშნულ უქმეებზე, ეს გადაწყვეტილება მათთვისაც სავალდებულოთ ჩაითვალოს. 3) ეთხოვოს პეტერბ. გაზ. თანამშრომლებს, მხარი მისცენ ასოთ-ამწყობთა ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას. 4) იმ ასოთ-ამწყობთ, რომელნიც არ შეუერთდებიან ამ გადაწყვეტილებას, საყვედური გამოეცხადოს და მათი ვინაობა გაზეთებში გამოქვეყნდეს, 5) ეთხოვოს რუსეთის ყველა გაზეთებს, გადაბეჭდონ ეს გადაწყვეტილება.

კრებაზე წაიკითხეს კიევის ზოგიერთ სტამბის ასოთ-ამწყობთა განზრახვა შესახებ საერთო არტელის დაარსებისა ყველა ასოთ ამწყობთათვის. კრებას არ მოეწონა ეს აზრი და არტელს ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა კავშირი ამჯობინა.

გარდა ამისა, კრებამ დაადგინა, რომ ეს ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილება სავალდებულო იქნება აგრეთვე მომავალ გამოცემათათვის.

უცხოეთის ქრონიკა

პირველი მაისი საზღვარ-გარეთ.

ვენა. პირველი მაისის დღესასწაულმა ვენაში შვენიერათ ჩაიარა. დილას შესდგა 67 კრება, რომელთა პროგრამმა პირველი მაისის მნიშვნელობას შეეცავდა. აუარება ხალხი გაემართა ჩვეულებისამებრ პრატერისაკენ (ვენის ვეებერთელა პარკია) პრატერში მანიფესტანტებმა თავი მოიყარეს 46 სხვა და სხვა შენობაში, სადაც შესაფერი სიტყვები წარმოითქვა. საღამოს ექვს საათზე ხალხი ქალაქში დაბრუნდა იმავე წესრიგით.

—

ბუდაპეშტი. პირველი მაისის დღესასწაულობაში 20000-მა მუშამ მიიღო მონაწილეობა. დამოუკიდებელ უნგრეთის პარტიის შენობის წინ მანიფესტატებმა თანაგრძნობა გამოუცხადეს ამ პარტიას და საყოველთაო არჩევნების უფლება უსურვეს.

—

ციურიხი. მაისის მანიფესტაციაში 7000 მუშა იღებდა მონაწილებას. ანარხისტებს მიჰქონდათ. შავი დროშა, რომელზედაც შემდეგი წარწერა იყო: „Proletarier aller Länder, bewaffnet Euch“.

—

რომი. პირველი მაისის დღესასწაულმა მშვიდობიანათ ჩაიარა მთელს იტალიაში. მოხდა ჩვეულებრივი კრებები, რომლებზედაც ილაპარაკეს იტალიის შინაგან და გარეშე პოლიტიკის შესახებ. ამ კითხვებს სოციალიზმის თვალთახედვის ის რით შეეხენ.

ბელგია. გენტაში, სადაც ყველაზე უფრო თვალსაჩინოთ ჩაიარა მაისის დღესასწაულებმა, სოციალისტების ყველა კლუბები წითელი ბაირაღებით იყო შემკული. მრავალი მუშა გაიუქცა ამ დღეს. მანიფესტანტებმა დიდი კონცერტი გამართეს.

—

შეერთებული შტატები. ჩიკაგოში ამ ჟამათ მეეტლეთა გაფიცვა სწარმოებს. გარდა იმისა რომ გაფიცულთა რიცხვი მეტის მეტათ გაიზარდა, გაფიცულთ და გაფიცვის დამრღვევთა შორის ფრიად მედგარი შეტაკება ხდება.

სოფ. ფლევის გლეხების მდგომარეობა.

გაზ. «ივერიის» რედაქციაში 28 აპრილს შესულა სამი გლეხი სოფ. ფლევიდან და შემდეგი განუცხადებიათ თავიანთ მემამულებზე:

სოფელ ფლევიდან გახლავართ. ჩვენი სოფლის მამულები თავ. როსიკო ამირაჯიბსა და ს. თარხნიშვილს ეკუთვნის. ჩვენ ამ თავადების ღალა გვემართა. ზოგი მიეცით, ზოგიც დარჩა, რადგან მისაცემი არა გვებადა-რა. კვირას, 24 აპრილს, ჩვენს სოფელში თავ. როსიკო ამირაჯიბის მოურავი—ვანო აბაშიძე, ერთი სტრაჟნიკი და სამი კაზაკი ამოვიდნენ და გვითხრეს: სოფ. აბისში უნდა წამოხვიდეთო, ბოქაული—ლევან უჩნაძე და როსიკო ამირაჯიბი გიბარებენო. ჩვენ ამ დროს არ გვეცალა, მიცვალებული გვყვანდა, კუბოს ვუმზადებდით და ამიტომ ვუთხარით: ეხლა არა გვცალიან და, როცა მოვიცლით, გიახლებითო. მიცვალებულის ქალმაც ეს გაუმეორა. რაკი დავხედეთ, რომ ძალაზე იდგნენ, წასვლაზე დავთანხმდით და ვთხოვეთ, ორიოდე წუთი გვაცალეთ და ფეხთ ჩაგვაცმევინეთო, მაგრამ არ დაგვაცალეს, დაგვირეკეს ხუთი კაცი და აბისში წაგვიყვანეს. იქ ასამდე კაზაკი შემოგვარტყეს და გვემუქრებოდნენ, ადგილიდგან არ დაიძრათ, თორემ ყველას დაგხოცავთო. როსიკო ამირაჯიბმა და ბოქაულმა მუქარა დაგვიწყეს, თუ ღალა არ მოგიციათ, ყველას ამოვჟლიტავთო. ჩვენ მოვახსენეთ, მობრძანდით და, თუ იპოვოთ რამე, ინებეთ თქო. როსიკო ამირაჯიბმა ჩვენი სიტყვა მუქარათ მიიღო და ბოქაულს დაჰრუსულა. შემდეგ თოფები დაგვიშიზნეს და გამოგვიცხადეს, თუ ახლავე არ მიგიციათ, აქვე დაგხოცავთო. ჩვენ შეგვეშინდა და ვთხოვეთ, მაგას ნუ გვიზამთ, გაგვიშვით, თითოს თითო ცალი ხარი გვყავს, გაგყიდით და მოგართმევთ. ორი საათი მიწაზე ვისხედით, ადგომისა გვეშინოდა, საკვდილს გვიქადდნენ. მერე გამოგვიცხადეს, ორი კაცი თავდებათ დასტოვეთ, თქვენ კი წადითო, საცა გინდათ იშოვეთ ღალის ფული, როცა მოგვიტანთ, ამათაც გაგიანთავისუფლებთო. სამნი წამოვედით. გზაში წყალი გვჭონდა გასავლელი. უკან როსიკო ამირაჯიბი და იმის მოურავი ხენებით გამოგვედევნენ და სწორეთ იმ დროს დაგვეწივნენ, როცა წელამდის წყალში შევედით. ორივენი იარაღში ისხდნენ. ცხენები წყალში შემორეკეს, გზა გადაგვიღობეს და მათრახები ცემა დაგვიწყეს, გინდა თუ არა ღალის ფასი ახლავე უნდა მოგვცეთო. ვეხვეწებოდით, ვევედრებოდით, მაგრამ ჩვენი მუდარი არ შეიწყნარა და ზურგზე ტყავი აგვაძრო. როსიკო ამირაჯიბმა ერთ ჩვენგანს ცხენი მიაგდო და წყალში წააქცია, ჩვენ იმ კაცს მივეშველეთ და ავაყენეთ. როსიკომ და მოურავმა ცემით რომ გული მოიჯერეს, გაგვაფრთხილეს, ჩქარა ჩამოიტანეთ ფული, თორემ დაგხოცავთო, და თავი დაგვანებეს. ჩვენც წამოვედით. თავდებათ დარჩენილი ორი კაცი გომში წაიყვანეს. გზა-და-გზა სცემდნენ და ემუქრებოდნენ, ი რაღაც კომიტეტი და აგიტატორებია, მოგვეცით, თორემ ისეთ დღეს დაგაყენებთ, რომ სულ თავ-ბედი იწყევლოთო. ძალზე ცუდად გლეხები გომში ჩაეყვანათ და თავდები მოეთხოვათ. ორი ღვთისნიერი კაცი გამოჩნდა,—მიხა გოგატაშვილი და სანდრო მამაცაშვილი, რომელთაც როსიკო ამირაჯიბს ჩვენი ვალი გადაუხადეს და ჩვენი ამხანაგები გამოაშვებინეს. ჯერ-ჯერობით ამით გათავდა ჩვენი საქმე. მერე რა იქნება, არ ვიცით.

საზოგადოთ, როსიკო ამირაჯიბი გვაწუხებს. დღიურზე ორ კოდ ღალას გვახდევინებს. თუ ლობიო და მწვანილი ვთესეთ, ამაშიაც ღალა უნდა გადაგიხადოთ. თითო კომლს ერთ საბალახის ქათამს გვართმევს, ერთსაც ღალისას, მიზეზათ ამბობს, თქვენი ქათმები ბალახსა სწიწკნიან და მაგის ბაჟი უნდა მომცეთო. გარდა ამისა თითო კომლი მოვალეა შობასა და აღდგომას თითო მანეთი და თითო ქათამი მიართვას. თითო კომლი ვალდებულია წელიწადში ექვსი დღე მიეხმაროს. გლეხს ათი უღელიც რომ ჰყვანდეს და ერთიცა, სულ ერთია, თითონ, მთელი თავის საქონლით 6 დღე უნდა იმუშაოს ამირაჯიბის სასარგებლოთ. ახლა გვეუბნება, რაკი სამუშაო არა მაქვს, თითო კომლმა 15 მანეთი უნდა მომცესო. თუ ვერ ვიშოვეთ და დაუგვიანეთ, გვაცემინებს. ღალის გადახდის დროს ძალიან გვაწვალებს. ძნა, საცა გვეტყვის, იქ უნდა წავიღოთ. თუ საჭირო იქნება, ძნა 40 ვერსის მანძილზე უნდა წავიღოთ. ასე გვიწერია პირობის ქაღალდში. იქავე სოფლის მახლობლათ ტყე გვაქვს. შემოდგომაზე ქალები შინდსა ჰკრეფენ ხოლმე, ამაზედაც ღალა უნდა გადავიხადოთ. ერთმა გლეხმა შინდის ღალა არ მისცა, ქალი არ მყავს და არც შობიკრეფიაო. ამის გულისთვის ეს გლეხი როსიკომა და მოურავმა გააწეწვინეს და სცემეს. კანონიერ საბაღახეს ხომ ვიხდით, მაგრამ ამირაჯიბმა არც ეს იკმარა და სოფელზედ მეტს 30 მან. გვახდევინებს. სამი ღორი რომ ყავდეს ვისმე, ერთი ბატონმა უნდაწაიყვანოს. თუ ცხენი ყავს ვისმე, მოვალეა როცა ბატონს დასჭირდება ცხინვალსა, გორსა და სურამში წავიდეს. საზოგადოთ უბაჟოთ არც არაფერი გვყავს და არც არაფერი გვაქვს. ასე და ამ გვარად ვიყვლიფებით და ვხედავთ, რომ ამ ყოფაში მარტო ჩვენა ვართ. ჩვენი მეზობლებიც გაჭირვებულნი არიან, მაგრამ სად ჩვენა და სად სხვები? როსიკო ამირაჯიბი ყოველთვის გვაშინებს და გვემუქრება, თუ ჯიუტობას დაიწყობთ, მოგკლავთო, თოფს სროლაც კარგი ვიცი და ხანჯლის ხმარებაცაო.

ახლა არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ. ვიცით, რომ ზედ-მეტი ღალა (ცხენი, ქათამი, ღორი, შინდი თხუთმეტი მანათი, შველა და სხ.) არ უნდა გადავიხადოთ, მოვალე არა ვართ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჯერ ერთი, არა გვაქვს, არა გაგვიბადია-რა და მეორე, რომ გაქონდეს კიდეც, ამირაჯიბი ძალაზე დგას, სხვები მოჰყავს, გვაცემინებს და გვართმევს. არ ვიცით, რა ვქნათ და როგორ მოვიქცეთ, გავუძალიანდეთ—არა გამოვა-რა, არაფერი შეგვიძლიან, არ გავუძალიანდეთ და ასეთ დღეში ვართ. ერთი სიტყვით, ჩვენს სოფელში აღარ გვეცხოვრება, უნდა გადავიკარგოთ სადმე, მეტი გზა არ არის.

ჩვენი აზრით ასეთი განწყობილება გლეხია და „ბატონს“ შორის ტიპიურია საზოგადოთ ქართლის ცხოვრებაში. მხოლოთ, აქ ის თავის „განვითარების“ უმაღლეს წერტილამდინ მისულა. ჩვენ ისეთ მაგალითებიც ვიცით, რომ გლეხებისგან თხოულობენ იმ პურის გამოსაცხობ შეშას, რომელსაც ღალათ იღებენ და ასე გასინჯეთ სანთელსაც კი, რომ იმ პურის ჭამის დროს სახლი გაანთონ. «და აი ასეთი მემამულეები, როგორც თ. ამირაჯიბი ყოფილა მოღვაწეებათ ითვლებიან ჩვენ «ინტელიგენტებში» და მეგობრული განწყობილებაც

აქვთ მათთან. გლეხების კითხვაზე კი, როგორ უშველოთ თავსო, მხოლოთ ერთი პასუხის მიცემა შეგვიძლია: მათ უშველის მხოლოთ მათი შეგნება და შეერთება, აქ და მხოლოთ აქ არის ხსნა და იმედი...

ბიუროკრატია და მუშათა მოთხოვნანი.

მეტათ საინტერესო სურათს გვიყენებს წინ ბიუროკრატიის გაიძვერობიდან გაზ. „Сынъ От-“-ს მეთაური წერილი, რომელიც შეეხება პეტერბურგში მომხდარ ფაბრიკის ინსპექტორების კრებას. ეს კრება, როგორც მისი „მოღვაწეობის“ შესახებ ნახევართ ოფიციალურ განცხადებიდან ჩანს, ამტკიცებს, რომ ყველა მუშები გაფიცვის დროს თავიანთ უმთავრეს მოთხოვნებში იმეორებენ **კრების და სიტყვის თავისუფლებას და პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობას**. ამ სიტყვებში მუშათა უმრავლესობა გულისხმობს ვიწრო პროფესიონალურ მოთხოვნებს. ინსპექტორების ამ საგანზე მუშებთან მოლაპარაკებიდან გამოირკვა რომ **კრების თავისუფლება** მათ ისე ესმისთ, რომ კანონით უფლება უნდა მიეცეს მუშებს მოილაპარაკონ თავიანთ საჭიროებაზე და გამოძებნონ გზა ამ საჭიროებათა დაკმაყოფილებისა. **სიტყვის თავისუფლება** კი იმას ნიშნავს რომ კანონით უფლება ჰქონდესთ ამ საჭიროებათა დაკმაყოფილების შესახებ თხოვნების შეტანისა სათანადო დაწესებულებაში; **ბინისა და პიროვნების ხელშეუხებლობა** კი უდრის მუშის განთავისუფლებას იმ საფრთხესაგან, რომელიც მოელის მას დღეს არესტისა და გაჩხრეკის სახით, როცა ის თავის გაჭირვებულ მდგომარეობაზე ლაპარაკს იწყებს და თხოულობს ქირაობის პირობის შეცვლას. აი ასეთი დასკვნა გამოუყვანია მუშათა მოთხოვნებისაგან იმ ბიუროკრატიულ დაწესებულებას, რომელსაც საფაბრიკო ინსპექცია ეწოდება და რომელიც ითვლება კანონით მუშათა ინტერესების დამცველათ.

ხსენებული გაზეთი შენიშნავს: ეჰვს გარეშეა, რომ მუშებში ისეთი განუვითარებელი ელემენტიც ურევია, რომელიც მართლა ვიწრო-პროფესიონალურ მნიშვნელობას აძლევს სიტყვის და კრების თავისუფლებას, პიროვნებას და ბინის ხელშეუხებლობას. დარწმუნებული ვართ იმაშიაცაო, განაგრძობს გაზეთი, რომ კრების წევრებშიაც და, თვით სამინისტროს სამრეწველო განყოფილებაშიც ბევრი მოიპოვება ისეთი რომელსაც ასე ვიწროთ ესმის „სამი თავისუფლების“ ფორმულა, მაგრამ ამასთანავე შეუძლებლათ მიგვაჩნია დავენდოთ ამ კითხვაში სამრეწველო განყოფილებას და დავუჯეროთ, რომ ასე გულუბრყვილოთ და ბავშურათ ესმოდესთ ის „თავისუფლებანი“ მუშათა უმრავლესობას. მოსალოდნელია, რომ „კრებების წესიერი მიმდინარეობის“ დასაცველათ მოწვეული იყვენ „კეთილმოაზრე“ მუშები, რათა „მთავრობისათვის სასურველი მიმდინარეობა“ მიეღო მეცადინეობას. მაგრამ ამ პირობებშიაც კი შეუძლებელია ის ეთქვა მოლაპარაკეთა უმრავლესობას, რასაც მას თავზე აბევენენ თუ კი ასეთი „უმრავლესობა“ შეუდგებოდა, ხსენებულ თავისუფლებათა აზრის გაამარტებას, მაშინ შესაძლებელი იყო უბრალოთ ეთქვათ, რომ მათ ეს თავისუფლება ესმის, როგორც **თავისუფლება** ცხოვრების ყველა შემთხვევისა და საჭიროებისათვის, და არა ისე ხელოვნური, ადვოკატური, ხრიკებიანი განმარტება მოგწონებია, როგორც, კრების მიერ გამომზეურებულია.

იგივე კრება, განაგრძობს გაზეთი, აღიარებს, რომ „თუმცა მუშათა უმრავლესობა არ განვითარებულა ჯერ იმ ზომამდე, რომ ნათლათ ჰქონდეს შეგნებული მაგისი ინტერესები, მაგრამ იგი მიყვება მოწინავე რაზმს, რომელიც მიაჩნია მუშა კლასის ჭეშმარიტ ინტერესების ნამდვილ დამცველათ“. თუ ასეაო, ამბობს გაზეთი, უეჭველია უმრავლესობას, რომელიც ამ კრების წევრებს ესაუბრებოდა, გაგონილი ექნებოდა სხვა ლოზუნგებიც, რომელიც მოწინავე რაზმის დროშაზე აწერია სიტყვის და კრების თავისუფლებასა და პიროვნების ხელშეუხებლობასთან ერთათ, როგორცაა მაგალითათ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი დაფარული არჩევანი, ანა და კიდევ ბეჭდის თავისუფლება. საინტერესოა, როგორ ესმის ეს მოთხოვნანი მუშებს? ნუთუ, აქაც შეიძლება ვიწრო პროფესიონალური განმარტებაო. მართლაც, საკვირველი სულისა და თავის პატრონია დღევანდელი ბიუროკრატია! მისი ბუნება ისეთია, რომ მას არ შეუძლია არ წაბილწოს თავისი შეხებით ყოველი წმინდა მოძრაობა. ასე რომ არ იყოს, ვისთვის არის დღეს საიდუმლო პროლეტარიატის მოთხოვნის შინაარსი! ვინ არ იცის რომ ამ მოძრაობის ყველა მოთხოვნა ისეთია, რომ ძირიან-ფესვიანათ უარყოფს დღევანდელს წესწყობილებას და ყოველ გვარ თავისუფლებასაც მხოლოთ ამ მოძრაობის მოწინავე რაზმის დროშაზე ეძლევა სრული და ვრცელი შინაარსი. ყველასთვის აშკარაა, რომ მუშათა კლასის პარტიასთან (მოწინავე რაზმთან) ვაჭრობა შეუძლებელია, მასთან ან მის წინააღმდეგ, აი რა არის მისი დამახასიათებელი! მაგრამ ბიუროკრატია მაინც ევაჭრებოდა და მხოლოთ ამის ნაყოფია ის მართლაც აბლაკატური განმარტებანი, რომელიც „Сынъ От-ва“-ს მეთაურმა გაგვაცნო.

საფრანგეთის ისტორიიდან

(1848)

I. ბურჟუაზიის გაბატონება.

(შემდეგი)*)

მაგრამ ხარტიის აღდგენა კიდევ არ ნიშნავდა ბურჟუაზიის ბატონობის დაკანონებას. ხარტია იყო კომპრომისი ძველ და ახალ თავად-აზნაურობას და ბირჟუაზიას შორის. რაკი რევოლიუციამ პირველი განაძევა და მეორე გააბატონა, ცხადია ხარტიაც შესაფერათ უნდა შეცვლილიყო და ბურჟუაზიის ფაქტიურ უფროსობას სრული იურუდიული გამოხატულება მისცემოდა.. პალატა შეუდგა ხატიის გადასინჯვას. მან დატოვა ყველა ის მუხლები, რომელიც პროლეტარიატს ხელს უკრავდა და მას კაპიტალისტთა საწველ ფურათ ხდიდა (როგორც მაგ. აკრძალვა გაფიცვის, ოც კაცზე მეტისაგან კავშირების გამართვის და სხვ.), ამას გარდა მილიციონერთა თავის ხარჯით გამოწყობის დაკანონებით მუშები განაძევეს საერო მილიციიდანაც. ეს გამარჯვებულთა ერთსულობა დაირღვა მაშინ, როცა ნადავლის გარიგებას შეუდგენ. გამოჩნდა, რომ შეძლებული ბურჟუაზია იყოფა ორათ—ფინანსისტები და მრეწველნი, რომელთა ინტერესი ხშირათ ერთმანეთს ეწინააღმდეგება. განხეთქილება გამსესხებელს და მსესხებელს შორის წინ წამოდგა. პირველნი, როგორც გაბატონებულნი და კმაყოფილნი, გიზოს მეთაურობით „შენჩერებელი ლიბერალიზმის“ მომხრეთ გამოვიდენ, ხოლო მეორენი, როგორც ბანკირთაგან დამოკიდებულნი და ცოტა უკმაყოფილონი ბაროს მეთაურობით „მოძრაობის ლიბერალიზმს“ მიემხრენ, და აი პალატაში დაიწყო «ძმათა ბრძოლა». ბაროს მოითხოვა გაზეთის გირაოს გაუქმება. გიზო წინააღუდგა და განაცხადა: „გირაო საჭიროა, რადგან ეს დამამტკიცებელი საბუთია გამომცემელის ცნობილ კლასის წევრობის“. უმრავლესობა დაეთანხმა ორატორს და თავისუფალი პრესა ფულის პატრონთა მონოპოლიათ გადააქცია. ოპოზიცია თხოულობდა საარჩევნო ცენზის, არა, რასაკვირველია, სრულიად მოსპობას, არამედ იმდენათ შემცირებას, რომ საშვალო ბურჟუაზიას ხმა მინიჭებოდა (300 ფრ. მაგიერ 200-ს ამრჩეველთათვის, ხოლო ასარჩევისათვის 500 ფრანკი). ამ წესით 32 მილიონ მცხოვრებში საარჩევნო უფლება ეძლეოდა მხოლოთ 240 ათასს! ამის წინააღმდეგ ამხედრდენ დოკტრინერებიც ეს დემოკრატიაო! მაგრამ ოპოზიციას მიემხრენ მოღარიბებული აზნაურები—ლეგიტიმისტები და რეფორმა გავიდა. ორას ათას შეძლებულს ჩააბარეს კანონმდებელთა არჩევა. ეს კიდევ არ კმარა, დეპუტატთა მიერ დამტკიცებული კანონი შეიძლება უარყოს პერთა პალატამ, მაშასადამე საჭიროა ამ დაწესებულების ხელში ჩაგდება, ე. ი. პერობის ბურჟუაზიისათვის ბოძება. პალატა შეუდგა თავად-აზნაურობის ამ უკანასკნელ საბუდაროის დანგრევას. მაგრამ რადგანაც პერთა უმრავლესობა ბურჟუაზიის წიაააღმდეგია და თავის თავის სიკვდილზე არ დათანხმდება, ამიტომ „უქაზით“ მეფემ შექნა 35 პერი ბურჟუა. ამით შეაყენა თავის მომხრე უმრავლესობა და ზედ პალატა ქვეცდა პალატის შინა ყმათ გადაიქცია. ბურჟუაზია არც თვით მეფეს

*) იხ. „მოგზაური“ № 15 აპრილი 1895 წ.

ენდობოდა, შეიძლება მან რაიმე მიზეზით ოდესმე პირი იბრუნოს ისევ აზნაურობისაკენ და პერობა მხოლოთ მათ მისცესო. საჭიროა მისი უფლება ამ შემთხვევაში შეიზღუდოს და კანონით იძულებული იყოს პერობა უმთავრესათ ბურჟუათ და მათ მოსამსახურეთ მიანიჭოსო. თანახმათ ამ მოსაზრებისა დამტკიცდა შემდეგი კანონი: კარლ მეათეს მიერ ბოძებული პერობა უქმდება, ეს ტიტული შეიძლება მიეცეს: პალატის თავმჯდომარეთ ნამყოფთ, დიდი ქალაქის მოურავთ ხუთი წლის სამსახურის შემდეგ, იმ ფაბრიკანტებს, ვაჭრებს, ბანკირებს და მესაკუთრეთ, რომელნიც იყვენ წევრათ ან ვაჭართა საზოგადოების, ან დეპუტატთა პალატის ან ეროვნის და ამასთანავე იხდიან 3,000 ფრ. პირდაპირ გადასახადს წელიწადში; დასასრულ პროკურორთ, ადმირალებს, სასამართლოს თავმჯდომარეთ, ჯარის უმფროსთ და პრეფექტთ. პერთა პენსია და ჯილდო მოსპეს.

ამ გვარათ შეძლებულმა ბურჟუაზიამ ხელთ იგდო მონოპოლია აზრის (პრესა), შეიარაღების (მილიცია), კანონმდებლობის (პალატები). ამ ერთიანათ გაბურჟუაზებულ წყობილებას თან ახლავს ძველის წესის მხოლოთ ერთად ერთი ნაშთი—სასახლე და ტახტი. მაგრამ მეფის არჩევით, ლუი ფილიპეს კენჭის წყალობით გამეფებით ტახტიც ერთიანათ განაახლეს, რესპუბლიკას დაამსგავსეს. მეფე ბურჟუათა კომიტეტის უბრალო საპატიო თავმჯდომარეა.

ერთი სიტყვით „ივლისის მონარქია იყო ერთი აქციონერთა კომპანია დაარსებული საფრანგეთის საერო სიმდიდრის საწარმოებლათ; მისი დივიდენდი იყოფოდა მინისტრების, პალატების, 240 ათასი ამრჩევლების და მათ ამყოლ-დამყოლთა შორის. ამ კომპანიის დირექტორია ლუი ფილიპე“, სწერს მარქსი. ამ კომპანიამ თავისი თავი გამოაცხადა „კანონიერ ქვეყანათ“ და მით დანარჩენი ქვეყანა კანონს გარეშე დააყენა. და აი უკანასკნელი, გაყვლეფილი, მოტყუებული, პატივ ახდილი, შეშფოთდა, ადგა და ახალ მოკლენილ ძალათ ბატონებს ომი გამოუცხადა. (ვინ იყვენ ეს ახალი მებრძოლნი?

2. ხალხი.

შეძლებული ბურჟუაზიის გაბატონებამ მთელი ერი გაყო ორ მეტ-ნაკლებ ნაწილათ და თვითეულ მათგანს მისცა ახალი სახელწოდება. გაბატონებულ უმცირესობას დაერქვა **ბურჟუაზია,** დამორჩილებულ უმრავლესობას **ხალხი.** ხალხისაგან განიდევნა ბურჟუაზია და ბურჟუაზიისაგან ხალხი. ხალხის ნიშნობლივ თვისებათ გამოცხადდა ეკონომიაში—შრომა, „მშრომელი“, პოლიტიკაში „კანონიერ ქვეყნიდან“ გამორიცხვა, ე. ი. ყველა ის ვინც უშრომლათ არ ცხოვრობდა და პოლიტიკური უფლებები არ ქონდა შეადგენდა ხალხს. ამით შეიქმნა ილიუზია ორივე ბანაკში. ბურჟუაზიას ეგონა ხალხი ბურჟუაზიას არ შეიცავს, ის ერთი ჩვენი მოწინამძღვრებელი კლასიაო; ხალხს კი წარმოედგინა ჩვენს რაზმში ბურჟუა არ მოიძებნება, ჩვენ ყველა ერთი ვართ და თუ ბანკირთა უფროსობა მოვიცილეთ მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება ჩამოვარდებაო. მან ბურჟუაზიათ მიიღო მხოლოთ ფინანსისტები და ფაბრიკანტები, ხოლო ხალხი პროლეტარიათ. ნამდვილათ კი ხალხს შეიცავდა სამი კლასი: წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მესაკუთრე გლეხობა და პროლეტარიატი. ამათ აერთებდათ უუფლებობა და გაბატონებულ ბურჟუაზიასთან ბრძოლა. ამ ბრძოლაში ესენი ერთმანერთს ეხმარებოდენ. ქუჩაზე ერთათ გამოდიოდენ, სასამართლოში ერთათ წარდგებოდენ, ერთი და იგივე ადვოკატები იცავდენ,—ერთი სიტყვით ჰირში ერთათ იყვენ. ამ გარემოებამ შექმნა ილიუზია მათი ერთობის და ძმობის. მაგრამ ამ ბრძოლაში თვითოეული მათგანი იბრძოდა თანახმათ თავისი კლასიური ბუნებისა და ინტერესებისა. ეს სხვა და სხვაობა ნათლათ უნდა გამოჩენილიყო საერთო მტერის დამარცხების შემდეგ და ხალხის ნამდვილი სახეც აშკარა ყოფილიყო.

როგორია ამ კლასების ბუნება, როგორია მათი ინტერესები?

წვრილი ბურჟუაზია. 1829 წ. აღწერით საფრანგეთში ითვლებოდა ერთ მილიონ ას ათასზე მეტი მოპატენტე (29 მცხოვრებზე 1), აქედან თუ გამოვაკლებთ „კანონიერ ქვეყანას“, დაახლოვებით, დანარჩენნი აქნებიან წვრილი ვაჭარ-მრეწველნი. ამათგანს პარიჟში იყო 55 ათასი. მარტო მეღუქნენი ითვლებოდენ აქ 30 ათასამდე. ამათ მიუმატეთ მათი თანამოზიარენი, თანაშემწენი, წვრილი მოხელენი თავისუფალი პროფესიის მექონენი, ინტელიგენციის დიდი ნაწილი, სტუდენტობა, გლეხთა შეძლებული ნაწილი და სხვა და გამოვა რომ წვრილი ბურჟუაზია ერთობ დიდი ყოფილა.

ძარღვი წვრილი ბურჟუაზიული წარმოების არის კრედიტი. უკრედიტოთ ერთ დღესაც ვერ იბოგინებს კრედიტის შოვნა შეიძლება ბანკის და კერძო პირებისაგან (ჩარჩები). მაგრამ რადგანაც ამ დროს დიდი წარმოება ფეხს იდგამდა და დიდ კრედიტს საჭიროებდა, ბანკებიც მის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდენ და წვრილ წარმოებას არაფერი რჩებოდა. მეორე მხრით, სესხათ აღებისათვის საჭირო იყო საჭიაკის თავდებობდა, ვექსილის მომცემის, ამღების და კიდევ მესამე პირის. აი ამ უკანასკნელ როლს ასრულებდა კერძო პირთა ბანკები, რომელთა საშუალებით ვექსილი ხურდავდებოდა «საფრანგეთის ბანკში» და „გასამჯელოთ“ ბევრს იღებდენ, ასე რომ ამ გზით მიღებული სესხი ჯდებოდა არა ნაკლებ 30 პროცენტის, მაშინ როდესაც შეძლებული მრეწველნი სესხს იღებდენ პირდაპირ, უდავიდარაბოთ (მათი სია იყო შემდგარი). წვრილი ბურჟუაზია თხოულობდა მესამე პირის მოშლას ანდა სახელმწიფოს მიერ დამხურდავებელ კანტორების გახსნას. მაგრამ ამით ბანკირები იზარალებდენ, და რადგანაც სახელმწიფო ბანკირების ხელში იყო, ცხადია არც ერთი ეს მოთხოვნილება არ კმაყოფილდებოდა. ივლისის რევოლიუციის შემდეგ ფინანსისტების მთავრობამ 30 მილიონი გადადვა ვაჭრობის კრიზისის შესამსუბუქებლათ, ამათგან მხოლოთ 300 ათასი გადაიდვა პატარა დამხურდავებელი ბანკის დასაარსებლათ პარიჟში, რაც შემდეგ წელს უფულობით დაიკეტა. იმავე წელს მარტო პარიჟის თეატრს მისცა მთავრობამ ერთ მილიონზე მეტი სუბსიდია! თუ კი ასეთი უკრედიტობა იყო პარიჟში, რა უნდა ყოფილიყო პროვინციაში, სადაც „საფრანგეთის ბანკს“ არც ერთი განყოფილება ამ დროს არ ქონდა. ბანკირები ყვლეფდენ წვრილ ბურჟუას არა მარტო კრედიტის გაძვირებით და გაძნელებით, არამედ ბირჟის საშვალებითაც. ცნობილია რომ წვრილი შეძლების პატრონნი ძრიელ ეტანებიან ბირჟაზე თამაშს, ფასიან ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას და ასე უშრომლათ გამდიდრებას. ამ დროს პარიჟის ბირჟაზე იყო 3 მილიარდი სახელმწიფო აქციები და ამდენივე კერძო კომპანიები. პირველთა ფასი დამოკიდებულია სახელმწიფოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე, მეორეთა ფასი კი თვით კომპანიათა გარანტიაზე და საქმის წაყვანაზე. ბირჟაზე მოთამაშემ წინდაწინ უნდა გამოიანგარიშოს როდის რა მოხდება და როდის რა ქაღალდის ფასები აიწევ-დაიწევა. მაგრამ რადგანაც ბანკირები, ეს ბირჟის მესვეურნი, იმავე დროს სახელმწიფოს მესვეურნიც და კერძო კომპანიების პრივილეგიების მიმცემნი იყვენ. ცხადია ბირჟაზედაც ისინი ბატონობდენ და მომავალ ამბებს არა თუ ტყობილობდენ, არამედ მათ მოხდენაში თვითონ იღებდენ მონაწილეობას და ასე

ბირჟაზე თვალხილულათ თამაშობდენ. პოლიტიკური ასპარეზიდან გამოდენილი და მთავრობის საიდუმლოებათა უვიცი წვრილი ბურჟუა ბირჟაზე ალალბედათ თამაშობდა და ბანკირებისაგან იკრიჭებოდა.

როგორც ხედავთ, გაბატონებული ბურჟუაზია დაეპატრონა ქვეყნის ფინანსებს და დაანგრია წვრილი ბურჟუაზიის კეთილდღეობა. წვრილი ბურჟუაზიის ასეთ მდგომარეობამ დაბადა მისი იდეოლოგია. წარმოდგა მთელი რიგი რეფორმატორებისა, რომლებმაც მთელი სოციალური კითხვა კრედიტის კითხვათ აღიარეს და იაფი, ან მუქთი კრედიტით „ხალხის“ გაჭირვების ძირიანათ ამოგდება (პრუდონის საბანკო პროექტები). მეორე მხრით, იაფი კრედიტის მოცემა შეუძლია მხოლოთ სახელმწიფოს, ხოლო სახელმწიფო კი ძვირი კრედიტის მომხრეთ ხელშია—მაშასადამე საჭიროა მათი დამარცხება და სახელმწიფოს ხალხის, დემოკრატიისათვის გადაცემა. დემოკრატიული რესპუბლიკა,—აი წვრილი ბურჟუაზიის დროშა. იშვა. ბურჟუაზიული დემოკრატია

ამნაირათ, წვრილი ბურჟუაზიის ეკონომიური იდეალია პირველყოველისა საკუთრების შერჩენა, ამით ის უკავშირდება საშვალო და სხვილ ბურჟუაზიას, მაგრამ ამ იდეალის მიღწევა მას სურს ისეთი ეკონომიური ცვლილებით, რომელიც ავიწროებს შეძლებულთ, არ ანებებს მეტის-მეტათ გამდიდრებას, ლიდი ქონების მოგროვებას და მასზე დიდათ ამაღლებას. მას სურს არა კაპიტალისტური ცარცვა-გლეჯის ლიკვიდაცია, არამედ მისი შეკეთება, შეშინება და დამორჩილება. ის აქ წინ ელობება კაპიტალისტების ბუნებრივ განვითარებას და ამით კონსერვატიულ როლს თამაშობს. მაგრამ ამ როლის შესასრულებლათ ის საჭიროებს პოლიტიკურ ძალას, დემოკრატიულ წყობილებას და—აი აქ ის რადიკალია. პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის დემოკრატიული პროგრამით და უახლოვდება პროლეტარიატს. ამ ნივთიერ ორპირობისაგან მომდინარეობს ბურჟუაზიული დემოკრატიის პოლიტიკური ორპირობა: ის არის ყოჩაღი, გაბედული, შემტევი, როცა აქედან წვრილი ბურჟუაზიის ცხოვრების გაუმჯობესებას გამოელის და მომხმარეთ პროლეტარიატი ეგულება; მხდალი, უკან დამხევი, მოღალატე, როცა მთელ ბურჟუაზიულ საკუთრებას პროლეტარიატისაგან განსაცდელი მოელის. ამიტომ მისი ბაირახტარნი მემარჯვენეთა მიერ შეშინებული მარცხნივ გადაიწევიან, მემარცხნეთა მიერ დაფრთხობილი მარჯვნივ მიდიან, ამ წალმა-უკუღმა ტრიალით ვერც ერთს ვერ აკმაყოფილებენ და სამარცხვინოთ მარცხდებიან.

წვრილი გლეხობა. ეს ერის ყველაზე უმრავლესი ნაწილი, ყველაზე ნაკლებ პოლიტიკურ როლს თამაშობს. ის ამ დროს 23 მილიონამდის იყო, მარა მის ლაპარაკათ და დაუხმარებლათ ხდებოდა რევოლიუციები, იცვლებოდა დინასტიები, მყარდებოდა ახალი წყობილება—ერის სიტყვით ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. რა არის ამის მიზეზი? აი რატომ ხსნის ამას კ. მარქსი: „თვითვეული გლეხის ოჯახი სხვისას თითქმის არაფერს საჭიროებს; ის თვითონ ქმნის თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ ნივთთა უდიდეს ნაწილს; იმას აქ უფრო მეტი დამოკიდებულება აქვს ბუნებასთან, ვინემ საზოგადოებასთან. ნაჭერი მიწა, გლეხი და მისი ოჯახი; იქავე მეორე ნაჭერი მიწა, მეორე გლეხი და მისი ოჯახი. ყველა ამის რამდენიმე დიუჟინი შეადგენს სოფელს, სოფლის რამდენიმე დიუჟინი—პროვინციას. და ასე საფრანგეთის ერის უმრავლესობა შედგება ერთგვარი სახელების უბრალო შეერთებით, სწორეთ ისე როგორც ერთ ტომარა კართოფილი—ტომარაში ჩადებული კართოფილთაგან. რამდენათ წვრილი გლეხობა ცხოვრებს ისეთ ეკონომიურ პირობებში, რომელიც მთელ მის ცხოვრებას, მის ინტერესებს და გონებას საერთო დაღს ასვამს და მით სხვა კლასებს მტრულათ უპირდაპირებს—იმდენათ ის კლასია. რამდენათ წვრილ გლეხთა შორის არსებობს მხოლოთ ადგილობრივი კავშირი, რამდენათაც მათი საერთო ინტერესი არ ქმნის მათ შორის საზოგადო საერთო კავშირს, საზოგადო პოლიტიკურ ორგანიზაციას—იმდენათ ისინი კლასს არ წარმოადგენენ, ამიტომ მათ არ შეუძლიათ დაიცვან თავისი კლასიური ინტერესები თავის სახელით. მათ არ შეუძლიათ თავის-თავის წარმომადგენელნი თვითონ იყვენ ისინი. სხვებმა უნდა წარმოადგინონ“.

ან.

(შემდეგი იქნება.)

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ამ ჩემს წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენ გაზეთში. *)

ამას წინეთ ბ-ნი ვ. ნ. თავის ვრცელს წერილში („მოგზაური“ № 13) სხვათა შორის მეც მომიხსენია: „წინამძღვარიანთ-კარის მღვდელმაც ა. ჯალიაშვილმა კარგათ დაიმსახურა ხალხის ყურადღება. 20 მარტს, როდესაც გაღმა-გამოღმა საზოგადოება ერთათ უნდა შეყრილიყო, წინ გადაუდგა ხალხს და დაუწყო ქადაგება, რომ არ შეყრილიყვენ ერთათ. მერე რომ ვერაფერს გახდა, ხალხს მიაძახა დაცინვით: „სეკრეტარი“-კი ვიცი ვინც გეყოლებათ, მაგრამ „პრედსედატელსაც“ გავიგებთ. მხოლოთ ორივეს უფთხილდით ყვავმა არ მოგტაცოთო“...

ეს სუყველა ბოლომდე დიდი სიცრუე-ცილის წამებაა.

მე ვეჭობ, რომ ბ-ნს ვ. ნ—ს ჩემი პირადი ცნობა ქონდეს, ან თვითონ ყოფილიყოს ზემოთ ნათქვამი სიტყვების გამგონ—მოწმე და არ ვიცი რად უნებებია მას ჩემთვის ასეთი ჩირქის მოცხება.

ჩვენ ერთის კვირით ადრე ვიცოდით, რომ ს. წინამძღვრიანთ-კარში გლეხთა ყრილობა უნდა მომხდარიყო. მე, ბ-ნო ვ. ნ., არამც თუ არ განმიძრახნია ამ ყრილობისათვის ხელის შეშლა, პირ იქით, როდესაც ს. ზაქაროში (ჩემი სამრევლო), მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ, ადგილობრივი გლეხები შემეკითხენ მომავალ ყრილობის საგნის შესახებ, მე მათ გავაცანი ახლანდელი გლეხთა მოძრაობა და ერთ მათგანს—მწიგნობარს მიხა ჩონიაძეს, გადავეცი „ივერიისა“, თუ „ცნობის ფურცლის“ №-რი, რომელშიაც აწერილი იყო წილკნელ გლეხთა მოთხოვნილებები. რით გინდათ შეურიგოთ ეს ფაქტი თქვენ მიერ აღიარებულს ცილისწამებას?!

აი საქმე რაში იყო. 20 მარტს ჩვენს სოფელში მოიყარა თავი ჩემი მრევლის გლეხობამ, რომელსაც შეუერთდენ ჰოპორტიდგან მოსული გლეხებიც, მალე ჩვენს პირ და პირ, ხევ გაღმიდან, გამოჩნდენ გურამიანთ-კარელებიც და გაჩერდ ენ ხევის ნაპირას. იგინი თხოულობდენ, რომ აქეთ უბნელები იქით გასულიყვენ, ხოლო უკანასკნელნი თავიანთკენ იწევდენ. აი, ბ-ნო ვ. ნ., აქ ამოვიდე ხმა ჩვენი სკოლის მასწავლებლების ბ.ბ. მელია და ხატის-კაცის თანადასწრებით და მოწმობით და ვურჩიე ჩვენებურებს, რომ ესენი-კი არა, თვითონ გურამიანთ კარელები გამოსულიყვენ აქეთ, რადგანაც უმრავლესობაც აქეთაა და ადგილი საწერხო-მეთქი. ბევრი ყოყმანის შემდეგ გურამიანთ-კარელებმა დასძლიეს აქეთ უბნელებს და შეიერთეს თავისთან, ხოლო ჩვენ მასწავლებლებითურთ კრების მოთავის განკარგულებით ჩვენდა გასაკვირველად ამგვეკრძალა კრებაზე გასვლა-დასწრება.

ამას უწოდებ, ბ-ნო ვ. ნ., „ქადაგებას“, ჩემ მიერ ხმა ამაღლებულს ხალხის ყრილობის დასაშლელათ?! ნეტა საიდან მომატმასნეთ „სეკრეტარი“ და „პრედსედატელი?!“

სხვებთან ერთათ ბ-ნმა ვ. ნ. ილია ჭავჭავაძისა და გიგი სტაროსელსკის ჯაშუშიც გამხადა. ბატონო! ენდეთ პატიოსნებას, რომ გ. სტაროსელსკის ვერც კი ვიცნობ, თუმცა მეზობელია, და ი. ჭავჭავაძე კიდევ ათი თვეც იქნება თვალით არ შინახავს და საიდან მომაქციე იმ „ზოგიერთთა პირებში“, რომლებმაც გლეხის ყრილობების შესახებ ჩააბარეს სტაროსელსკის და ჭავჭავაძეს!..

მღ. ა. ჯალიაშვილი.

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

*) ვაკმაყოფილებთ მღვ. ჯალიაშვილის თხოვნას. შემდეგ ნომერში მის საპასუხოთ დაიბეჭდება ჩვენი კორესპონდენტის წერილი. რედ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29-го апрѣля 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა. რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.